

## მუდმივი სუვერენიტეტი ბუნებრივ რესურსებზე

იოგემ ტიაგი\*

### აბსტრაქტი

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი 1960-1970-იან წლებში გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის განვითარებული დაპირისპირების შედეგად წარმოიქმნა. იგი გულისხმობს როგორც სახელმწიფოების, ასევე ხალხების ფუნდამენტურ უფლებას. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის როგორც პრინციპი, ასევე უფლება წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილების შედეგს, მიაღწიონ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და განამტკიცონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ძალა, ამ პროცესში საერთაშორისო სამართლის როლის შესახებ განსხვავებული წარმოდგენების მიუხედავად. პრინციპი ფართოდ არის აღიარებული, უფლება კი ხშირად წარმოადგენს დავის საგანს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარგში, ამ უფლების ადამიანებზე ორიენტირებულმა ბუნებამ აჩვენა პოტენციალი, დაჩრდილოს მისი სახელმწიფოზე ორიენტირებული ბუნება. ოცდამეერთე საუკუნეში, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებული დებატი ისევ განახლდა, განსაკუთრებით, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში განვითარებულ სამართალწარმოებაზე რეაგირების მიზნით. შედეგად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი კიდევ ერთხელ გახდა მთავარი ფაქტორი, რამაც განაპირობა რეფორმების განხორციელება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. რეფორმის პროცესი სხვადასხვა ფორმებით მიმდინარეობს, მათ შორის, სახელმწიფოების მიერ სტანდარტული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შეცვლის (უნილატერალიზმი) ან ხელახალი მოლაპარაკებების წარმოების გზით არსებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით (ბილატერალიზმი). მულტილატერალიზმი კი კვლავ დავიწყებულია. ეს პროცესი თან უნდა ახლდეს ახალი სახის დიალოგს გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რათა მოიპოვოს უფრო ფართო მხარდაჭერა და უზრუნველყოს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის/უფლების ჯანსაღი განვითარება.

### საკვანძო სიტყვები

სუვერენიტეტი, რესურსები, თვითგამორკვევა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, საერთაშორისო ინვესტიცია

### 1 შესავალი

სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ 1933 წლის მონტევიდეოს კონვენციის თანახმად<sup>1</sup>, რომლითაც იხელმძღვანელა ბადინტერის საარბიტრაჟო კომისიამ 1991 წელს<sup>2</sup>, სუვერენიტეტი არის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, ხოლო ტერიტორია - მეორე<sup>3</sup>. მონტევიდეო-ბადინტერის მიერ

\* სამართლის პროფესორი და იურიდიული მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, სამხრეთ აზიის უნივერსიტეტი (ინდოეთი); ინდოეთის სამართლის კომისიის წევრი.

<sup>1</sup> კონვენცია სახელმწიფოების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ (მონტევიდეოს კონვენცია) (მიღებულ იქნა 1933 წლის 26 დეკემბერს. ძალაში შევიდა 1934 წლის 26 დეკემბერს).

<sup>2</sup> Alain Pellet, 'The Opinions of the Badinter Arbitration Committee: A Second Breath for the Self-Determination of Peoples' (1992) 3 EJIL 178, 182.

<sup>3</sup> მაშინ როცა „სუვერენიტეტის“ არსებობა თავისთავად იგულისხმება „მთავრობაში“, რომელსაც „აქვს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში შესვლის უნარი“, „ტერიტორია“ განიმარტება,

განმარტებული „სახელმწიფოს“ ცნების შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის კონცეფცია (PSNR) აერთიანებს სახელმწიფოებრიობის აღნიშნულ ორ მახასიათებელს. თუმცა, ამ კონცეფციის წარმომშობ მთავარ წყაროდ მიიჩნევა „სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ხალხთა თვითგამორკვევის“ პრინციპების კომბინაცია<sup>4</sup>. მართალია, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპთან უფლებათა ფართო სპექტრია დაკავშირებული, მაგრამ ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სუვერენული უფლება, ფლობდეს ბუნებრივ რესურსებს და გამოიყენოს, განკარგოს, დაარეგულიროს და მოახდინოს მათი ნაციონალიზაცია ან ექსპროპრიაცია მისი ეროვნული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად<sup>5</sup>. ანალოგიურად, PSNR-თან დაკავშირებით არსებობს არაერთი სახელმწიფო ვალდებულება<sup>6</sup>, მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანია ვალდებულება, რომლის თანახმად ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება უნდა განხორციელდეს ეროვნული განვითარებისა და განსახილველ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობის ინტერესების შესაბამისად<sup>7</sup>.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების კატალოგი არ არის მკაფიო, თუმცა მეტნაკლებად იდენტიფიცირებულია ძირითადი უფლებები და ვალდებულებები. უფლება-მოვალეობების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება შესაძლებელი არ არის სხვადასხვა ცვალებადი ფაქტორების, მათ შორის, ეროვნული განვითარების ცვალებადი პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების გათვალისწინებით. გარდა ამისა, PSNR-დან გამომდინარე ყველა უფლება და მოვალეობა არ არის თანაბრად აღიარებული საერთაშორისო სამართალში. გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს შესაძლოა არ ჰქონდეს მკაფიო შინაარსი ან ზუსტი მნიშვნელობა. ზოგიერთი უფლება და მოვალეობა კი შესაძლოა არ წარმოადგენდეს ერთიან ეროვნულ პრიორიტეტს. ამასთანავე, უფლებებსა და მოვალეობებს შორის ბალანსი არ არის ყოველთვის მიღებული საზოგადოების ყველა წევრის მიერ<sup>8</sup>. მსოფლიოში ეკონომიკური ძალაუფლების ცვალებადი ბალანსის შედეგად, რასაც თან მოჰყვება სიმდიდრისა და სიღარიბის ახალი კერები, გარდაუვალია განახლებული ინტერესი PSNR-ის კონცეფციის მიმართ. თუმცა, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი ზეგავლენისა საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკაზე, PSNR-ის კონცეფციას ჯერ არ მოუპოვებია საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი მკვლევრის ყურადღება.

---

როგორც „განსაზღვრული ტერიტორია“, რაც გულისხმობს მკაფიოობისა და მუდმივობის გარკვეულ ხარისხს. იხილეთ მონტევიდეოს კონვენცია, მუხლი 1.

<sup>4</sup> See, among others, Nico Schrijver, *Sovereignty over Natural Resources: Balancing Rights and Duties* (CUP 1997) 368.

<sup>5</sup> 1997 წელს Schrijver-მა მოახდინა ხუთი „ფართოდ აღიარებული“ უფლებისა და ხუთი „სადავო“ უფლების მოთხოვნის იდენტიფიცირება (ibid 391). 2009 წელს კი Hofbauer-მა წარმოადგინა მხოლოდ სამი უფლება: იხილეთ Jane Hofbauer, 'The Principle of Permanent Sovereignty over Natural Resources and its Modern Implications' (LLM thesis, University of Iceland 2009) 13-29.

<sup>6</sup> 1997 წელს, Schrijver-მა მოახდინა ოთხი ვალდებულების იდენტიფიცირება: იხილეთ Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 391-92.

<sup>7</sup> Permanent Sovereignty over Natural Resources, UNGA Res 1803 (XVII) (14 December 1962) UN Doc A/RES/1803(XVII) (1962 Resolution) para 1.

<sup>8</sup> მაგალითად, Schrijver-გან (*Sovereignty Over Natural Resources* (n 4)) განსხვავებით, Chimni არ არის კმაყოფილი ბალანსით უფლებებსა და მოვალეობებს შორის. იხილეთ Bhupinder S Chimni, 'The Principle of Permanent Sovereignty over Natural Resources: 'Toward a Radical Interpretation' (1998) 38 IJIL 208, 213-14.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის სამართლებრივი სტატუსისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო პრაქტიკის მიმოხილვას ორ სფეროში: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი. იგი იკვლევს PSNR-ის კონცეფციის განვითარების გზას, დაწყებული მისი ჯერ პრინციპად, შემდეგ კი უფლებად აღიარებიდან. იგი ცდილობს გამოავლინოს სახელმწიფოების, ხალხებისა და ინდივიდების უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გამოწვევები კვლევის შესაბამის სფეროებში. იგი განიხილავს, თუ როგორ ინარჩუნებს PSNR-ის კონცეფცია/პრინციპი/უფლება სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებს მის ძირითად არსში, მაგრამ რჩება მგრძობიარე სხვების ინტერესების მიმართ. ნაშრომი იწყება საერთაშორისო სამართალში ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის ისტორიის ზოგადი მიმოხილვით. მეორე სექცია ფოკუსირებულია PSNR-ის განვითარების საკითხებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სპეციფიკურ კონტექსტში. მესამე სექცია ასახავს PSNR-ის განვითარებასა და სტატუსს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის კონტექსტში, სადაც დიდი ალბათობით მან ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო. და ბოლოს, ჩვენ დავსვამთ კითხვას, შეიძლება თუ არა PSNR დახასიათდეს, როგორც სახელმწიფოთა ფუნდამენტური უფლება საერთაშორისო სამართალში.

## **2 ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის სამართლებრივი განვითარება და სტატუსი**

მაშინ როცა სუვერენიტეტის კონცეფცია საუკუნეების განმავლობაში არსებობს, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტი, როგორც სამართლებრივი კონცეფცია, საერთაშორისო სამართალში შედარებით ახალი წარმოშობილია. იგი პირველად გამოჩნდა როგორც რეკომენდაცია ერთიანი ქმედებისთვის, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით<sup>9</sup>. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლითაც მოხდა PSNR-ის კონკრეტული სიტყვიერი გამოხატვა, გახლდათ 1962 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ თითქმის ერთხმად მიღებული რეზოლუცია ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „1962 წლის რეზოლუცია“). PSNR-ის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო რიგმა მოვლენებმა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე. მაშინ როცა PSNR-ის ზოგიერთ მხარდამჭერს სურს, რომ მან შეიძინოს უმაღლესი სამართლებრივი სტატუსი, ზოგიერთი მისი მოწინააღმდეგე მიიჩნევს, რომ იგი მეტი არაფერია, ვიდრე პოლიტიკური მანიფესტი<sup>10</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული სამართლებრივი ხედვები, PSNR არის დინამიური კონცეფცია, რომლის მიზანია განამტკიცოს სახელმწიფო ხელისუფლება სამართლებრივი გაურკვევლობის დროს. PSNR ცდილობს ეკონომიკურ სფეროში მიაღწიოს იმას, რასაც თვითგამორკვევის უფლებამ საგრძნობლად მიაღწია პოლიტიკურ სფეროში: ეროვნულ დამოუკიდებლობას. იგი პრინციპულ მხარდაჭერას უწევს ეკონომიკურ ნაციონალიზმს. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს თავისი ადგილი აქვს როგორც საერთაშორისო სამართალში, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. თუმცა, მისი საერთაშორისო სამართლებრივი განზომილებები, როგორც წესი, დომინირებს ამ თემასთან დაკავშირებულ დისკურსში.

<sup>9</sup> See Concerted Action for Economic Development of Economically Less Developed States, UNGA Res 1515 (XV) (15 December 1960) UN Doc A/RLS/i1515 (XV) para 5.

<sup>10</sup> See, eg, as advocate, Chimni (n 8); as detractor, Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4).

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ამსახველი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, 1962 წლის რეზოლუცია, აღიარებს ხალხებისა და ერების უფლებას, მათი ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების მუდმივ სუვერენიტეტზე და უფლებამოსილებას, განახორციელონ იგი „მათი ეროვნული განვითარებისა და მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობის ინტერესების შესაბამისად“<sup>11</sup>. რეზოლუცია ასევე აღიარებს მასპინძელი სახელმწიფოს უფლებას, მოახდინოს უცხოელი ინვესტორის საკუთრების ნაციონალიზაცია ან ექსპროპრიაცია, იმ პირობით, რომ „სათანადო კომპენსაცია“ იქნება გადახდილი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის რელევანტური ნორმების შესაბამისად<sup>12</sup>. ის ცდილობს დააბალანსოს მასპინძელი სახელმწიფოს უფლებები მის ვალდებულებებთან მიმართებით. რეზოლუცია შეიცავს დებულებებს, რათა დაიცვას უცხოელი ინვესტორის უფლებები, მაგრამ იგი არ ეხება ინვესტორის ვალდებულებებს. ასე რომ, 1962 წლის რეზოლუცია არ არის რადიკალური გადახვევა ტრადიციული საერთაშორისო სამართლიდან<sup>13</sup>.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს მიღებული დეკლარაცია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ (NIEO დეკლარაცია) განამტკიცებს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს<sup>14</sup>, 1962 წლის რეზოლუციის მოხსენიების გარეშე<sup>15</sup>. NIEO დეკლარაციაში, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი მოხსენიებულია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპთან ერთად<sup>16</sup>, რომელიც გაეროს წესდებით განმტკიცებული საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია<sup>17</sup>. თუმცა, ეს ნორმატიული სიახლოვე საკმაოდ შეცდომაში შემყვანია: გაეროს წესდებით გარანტირებული პრინციპი არ შეიძლება გაიგვიდეს პრინციპთან, რომელიც უბრალოდ აღიარებულია გაეროს პოლიტიკური ორგანოს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ NIEO დეკლარაცია მიზნად ისახავდა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, განვითარებული ქვეყნები არ თვლიდნენ მას რადიკალურ განაცხადად საერთაშორისო სამართალში. ამ ქვეყნების დიპლომატია ითვალისწინებდა განვითარებადი ქვეყნების ლეგიტიმური მისწრაფებებისადმი თანაგრძნობის გამოხატვას, მაგრამ არა მათ სამართლებრივ უფლებებზე აღიარებას. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებს არ მიუციათ ხმა NIEO დეკლარაციის მიღების წინააღმდეგ. ეკონომიკური სამართლიანობის საკითხისადმი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა მხარდაჭერას გამოხატავდა სიტყვიერად, მაგრამ არა საქმით. ამის საპირისპიროდ, განვითარებადი ქვეყნებს სურდათ, რეალობად ექციათ მათი ლეგიტიმური მისწრაფებები, საერთაშორისო სამართლის ახალი სტანდარტების განვითარების გზით. გაეროს გენერალურ ასამბლეაში ხმის მიცემის უფლებით აღჭურვილ ამ ქვეყნებს სწამდათ, რომ მათი ბრძოლა იყო ლეგიტიმური.

---

<sup>11</sup> 1962 Resolution, para 1.

<sup>12</sup> *ibid* para 4.

<sup>13</sup> Chimni (n 8) 208.

<sup>14</sup> Declaration on the Establishment of a New Economic Order, UNGA Res 3201 (S-VI) (1 May 1974) UN Doc A/RES/S-6/3201.

<sup>15</sup> *ibid* para 4(e).

<sup>16</sup> *ibid* para 4(a), 4(e).

<sup>17</sup> Charter of the United Nations (adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) 892 UNTS 119 (UN Charter) art 2(1).

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციაზე (UNCTAD)<sup>18</sup> მექსიკის პრეზიდენტის მიერ 1972 წელს გაჟღერებული ინიციატივის შედეგად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1974 წელს მიიღო ქარტია სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ (CERDS)<sup>19</sup>. ქარტია ცდილობდა შეეცხო 1962 წლის რეზოლუცია, განიხილავდა რა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს უფლებებისა და ვალდებულებების ჭრილში. იგი აღიარებდა სახელმწიფოების უფლებებს, განსაკუთრებით, უცხოელ ინვესტორებთან მიმართებით და ხაზს უსვამდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის უპირატესობას უცხოური ინვესტიციების რეგულირების საკითხში. თუმცა, იგი არ უარყოფდა ამ მხრივ საერთაშორისო სამართლის რელევანტურობას. ქარტიის ტექსტის ასეთ გაგებას არ იზიარებდნენ განვითარებული ქვეყნები<sup>20</sup>. CERDS რადიკალური განაცხადია, რადგან სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებისას იგი არც სტატუს-კვოს განამტკიცებს და არც საერთაშორისო სამართალზე მიუთითებს. საერთაშორისო სამართლის ორთოდოქსული დოქტრინისთვის კი ეს მიუღებელი აღმოჩნდა<sup>21</sup>. ამის გამო, დასავლური ფრთა არ მიიჩნევს CERDS-ს სამართლებრივი ღირებულების მქონე დოკუმენტად. იმავე თვალსაზრისით, *Texaco Arbitration* საქმის განმხილველმა არბიტრმა დაასკვნა, რომ CERDS „უნდა გაანალიზდეს როგორც პოლიტიკური და არა როგორც სამართლებრივი დეკლარაცია“<sup>22</sup>. თუმცა, საკითხავია, თუ ცალმხრივ დეკლარაციას შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი ეფექტი საერთაშორისო სამართალში<sup>23</sup>, რა განაპირობებს იმას, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის წევრთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებულ საერთაშორისო ინსტრუმენტს არ აქვს რაიმე სამართლებრივი ღირებულება?

<sup>18</sup> გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მესამე სესიაზე, რომელიც გაიმართა სანტიაგოში, ჩილეში, 1972 წლის 13 აპრილიდან 21 მაისამდე, მექსიკის პრეზიდენტმა, ლუის ეჩევერიამ წამოაყენა წინადადება სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ქარტიის მიღებასთან დაკავშირებით. შედეგად, UNCTAD-მა გადაწყვიტა შეექმნა სამუშაო ჯგუფი სახელმწიფოების ეკონომიკურ უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით ქარტიის შესამუშავებლად. მას შემდეგ, რაც სამუშაო ჯგუფმა დაასრულა ქარტიის დრაფტზე მუშაობა, UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების საბჭომ გადასცა დრაფტი გაეროს გენერალურ ასამბლეას 1974 წლის სექტემბერში.

<sup>19</sup> Charter of Economic Rights and Duties of States, UNGA Res 3281 (XXIX) (12 December 1974) UN Doc A/RES/29/3281.

<sup>20</sup> აშშ-ს საგარეო ურთიერთობების შესახებ კანონზე კომენტარების შემუშავებისას, ამერიკული სამართლის ინსტიტუტის მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ უცხოელი მოქალაქის საკუთრების ექსპროპრიაციის შემთხვევაში, სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ კონვენცია ითხოვს „სათანადო კომპენსაციის“ გადახდას, ექსპროპრიაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გამორიცხავს კომპენსაციის რაიმე ვალდებულების არსებობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით. See *Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the United States*, vol 2 (American Law Institute 1987) 206.

<sup>21</sup> See, eg, Franz Xaver Perrez, "The Relationship between "Permanent Sovereignty" and the Obligation not to Cause Transboundary Environmental Damage (1996) 26 *Environmental* 1 1187.

<sup>22</sup> *Texaco Overseas Petroleum Company v California Asiatic Oil Company and the Government of Libyan Arab Republic (Compensation for Nationalised Property)* (Award on the Merits) (1977) (1978) 17 *ILM* 1 (*Texaco Arbitration*) para 88.

<sup>23</sup> See, eg, *Legal Status of Eastern Greenland (Noriay v Denmark)* [1933] *PCIJ Ser A/B*, No 53, 71; *Nuclear Tests (Australia v France)* (Judgment) [1974] *ICJ Rep* 253, paras 43-45; *Nuclear Tests (New Zealand v France)* (Judgment) [1974] *ICJ Rep* 457, paras 46-48; *United States-Sections 301-10 of the Trade Act 1974 (European Union v United States)-Report of the Panel* (22 December 1999) *WT/DS152/R*, paras 7.118, 7.121-7.123.

ტერმინ „ქარტიის“ გამოყენება CERDS-თან მიმართებით არასწორია - იგი აღნიშნავს ქარტიის შემქმნელების ამბიციებს და არა მის სამართლებრივ ბუნებას. 1962 წლის რეზოლუციის მსგავსად, CERDS არის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია. თუმცა, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი მძაფრი კამათის საგანია მისი ტექსტუალური რადიკალიზმის, სამართლებრივი მნიშვნელობისა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის გამო. მაშინ როცა ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა აღიქვამს CERDS-ს როგორც ფუნდამენტურ გადახვევას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ტრადიციული წესებიდან<sup>24</sup>, განვითარებადი ქვეყნები იგივე ქარტიას აღიარებენ როგორც „სამართლებრივად მხოლოდ ინსტრუმენტს, რომელიც უფლებებსა და ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოებს“<sup>25</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ იგი მხარდაჭერილი იყო განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის და განვითარებული ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ<sup>26</sup>, CERDS არ წარმოადგენდა იმგვარ კონსესუსს, რომელიც PSNR-ის პრინციპის შინაარსის განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა. მართალია ეფუძნება იგივე წინაპირობას, CERDS განსხვავდება 1962 წლის რეზოლუციისაგან საერთაშორისო სამართლის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მისი აქცენტით მასპინძელი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის გამოყენებაზე უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ ქვეყანას შორის არსებული დავების გადასაწყვეტად<sup>27</sup>. ამრიგად, 1962 წლის რეზოლუციასთან შედარებით, CERDS არის PSNR-ის პრინციპთან დაკავშირებული უფრო ძლიერი განაცხადი, თუმცა, ნაკლები გლობალური მხარდაჭერით.

PSNR-ის სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო სამართალში შესაძლებელია გარკვეულწილად გაანალიზდეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასების გზით. უფრო კონკრეტულად კი, 1962 წლის რეზოლუციისა და CERDS-ის გაანალიზების გზით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები ზოგადად არ არის აღიარებული როგორც საერთაშორისო სამართლის ფორმალური წყარო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 38-ე მუხლის შესაბამისად<sup>28</sup>, ასეთ რეზოლუციებს რასაკვირველია შეუძლია „ხელი შეუწყოს ახალი ჩვეულებითი სამართლის ნორმების კრისტალიზაციას ან ფორმაციას“<sup>29</sup>. 1962 წლის რეზოლუცია მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის წევრთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით. მათ შორის იყო როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნები. რეზოლუციის მიღებას არ ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალის ექსპორტიორი წამყვანი ქვეყნები<sup>30</sup>. ამის შემდეგ, PSNR პრინციპის კოდიფიცირება მოხდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა (ICCPR)<sup>31</sup> და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის

<sup>24</sup> Perrez (n 21) 1197.

<sup>25</sup> *ibid.*

<sup>26</sup> *ibid.*

<sup>27</sup> Jeswald W Salacuse, *The Law of Investment Treaties* (2nd edn, OUP 2015) 68-74.

<sup>28</sup> Statute of the International Court of Justice (adopted 26 June 1945, entered into force 24 October 1945) 1 UNTS 16.

<sup>29</sup> International Law Association (ILA), *Statement of Principles Applicable to the Formation of General Customary International Law* (Final Report of the Committee, Committee on the Formation of Customary (General) International Law, Report of the 69th Conference, London 2000) 56.

<sup>30</sup> იგი მიღებულ იქნა 87 ხმით 2-ის წინააღმდეგ (საფრანგეთი და სამხრეთ აფრიკა). 12-მა ქვეყანამ კი თავი შეიკავა (მათ შორის, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები).

<sup>31</sup> International Covenant on Civil and Political Rights (adopted 16 December 1966, entered into force 23 March 1976) 999 UNTS 171 (ICCPR).

(ICESCR)<sup>32</sup> 1(2) საერთო მუხლში. შემდეგ კი, რამდენიმე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაშიც<sup>33</sup>. ამას გარდა, PSNR პრინციპი გამოყენებულ იქნა ნამიბიის ბუნებრივ რესურსებთან მიმართებით მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე<sup>34</sup>, რითაც დემონსტრირდება მისი გამოყენების შესაძლებლობა როგორც კოლონიურ, ისე არაკოლონიურ კონტექსტში.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის დეკლარაცია სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრინციპების შესახებ (1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ) აღიარებს თვითგამორკვევის უფლებას, როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპს<sup>35</sup>, მაგრამ ის არ მოიცავს PSNR-ის პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ PSNR-ის პრინციპი ყოველთვის არ არის თვითგამორკვევის პრინციპის აუცილებელი თანმდევი შედეგი. თუ 1970 წლის დეკლარაციას მეგობრული ურთიერთობების შესახებ წავიკითხავთ NIEO დეკლარაციასთან ერთად, PSNR წარმოჩინდება როგორც პრინციპი, თუმცა, არა როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი ან ფუნდამენტური პრინციპი. ეს აჩვენებს, რომ ტერმინ „პრინციპს“ საერთაშორისო სამართალში აქვს საკმაოდ მოქნილი გამოყენება. საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპს არ აქვს თანაბარი სამართლებრივი სტატუსი: ზოგიერთმა შეიძლება მიაღწიოს *jus cogens*-ის (საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა) სტატუსს, სხვები კი დარჩეს ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონე პრინციპად. ზოგიერთი მკვლევარი ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს

---

<sup>32</sup> International Covenant on Economic, Cultural and Social Rights (adopted 19 December 1966, entered into force 3 January 1976) 993 UNTS 3 (ICESCR).

<sup>33</sup> International Covenant on Economic, Cultural and Social Rights (adopted 19 December 1966, entered into force 3 January 1976) 993 UNTS 3 (ICESCR).

<sup>34</sup> See, eg, Vienna Convention on Succession of States in respect of Treaties (adopted 23 August 1978, entered into force 6 November 1996) 1946 UNTS 3, art 13; African Charter on Human and Peoples' Rights (adopted 27 June 1981, entered into force 21 October 1986) 1520 UNTS 217, art 21; United Nations Convention on the Law of the Sea (adopted 10 December 1982, entered into force 16 November 1994) 1833 UNTS 396, art 193; Vienna Convention on Succession of States in Respect of State Property, Archives and Debts (adopted 7 April 1983, opened for signature 8 April 1983) Official Records of the UN Conference on Succession of States in Respect of State Property, Archives and Debts, vol II (UN Publication 2005) arts 15(4), 38(2); United Nations Framework Convention on Climate Change (adopted 9 May 1992, entered into force 21 March 1994) 1771 UNTS 107, preamble; Convention on Biological Diversity (adopted 5 June 1992, entered into force 29 December 1993) 1760 UNTS 79, preamble, art 3; Energy Charter Treaty (adopted 17 December 1994, entered into force 16 April 1998) 2080 UNTS 95, art 18(1).

<sup>35</sup> 1960-იან წლებში, ნამიბიაში განხორციელებულმა ინტენსიურმა უცხოურმა სამთო-მოპოვებითმა სამუშაოებმა აიძულა გაეროს ნამიბიის საბჭო მიეღო დადგენილება No I ნამიბიის ბუნებრივი რესურსების დაცვისთვის. ამ დადგენილების შესაბამისად, არცერთ პირს ან ორგანიზაციას არ ჰქონდა უფლება მოეძია, აეღო ან გაეგრძელებინა ნამიბიაში ნაპოვნი რაიმე ბუნებრივი რესურსი საბჭოს ნებართვის გარეშე. დადგენილების თანახმად, ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც დაარღვევდა დადგენილებით განსაზღვრულ წესებს, შესაძლოა მიცემულიყო პასუხისგებაში ზიანის მიყენების გამო, დამოუკიდებელი ნამიბიის მომავალი მთავრობის მიერ: see UN, 'Namibia- UNTAG Background' <<http://www.un.org/en/peacekeeping/missions/past/untagS.htm#UNTAG>> accessed 17 November 2015.

განხილავს როგორც *jus cogens*-ს<sup>36</sup>, ბევრი სხვა კი მას მიიჩნევს უბრალოდ პრინციპად<sup>37</sup>. არსებობს შეხედულება, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არის სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ერთ-ერთი ელემენტი<sup>38</sup>, რომელთაგან ორივე მათგანი ასახულია გაეროს წესდებაში, კერძოდ კი, მის 2(1) და 2(4) მუხლებში. გაეროს წესდების დებულებებს აქვს განსაკუთრებული სტატუსი მათ უპირატეს ძალასთან დაკავშირებული წესდების 103-ე პუნქტიდან გამომდინარე<sup>39</sup>. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს წესდების 103-ე მუხლის მნიშვნელობა და ფარგლები არ არის ზუსტი და ამომწურავი<sup>40</sup>, რთული იქნება იმ დასკვნის გამოტანა, რომ PSNR-ზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული უპირატესი ძალის პრინციპი. იგივე ლოგიკით, არ არის სრულიად გამორიცხული, რომ PSNR-ის პრინციპი შესაძლოა გაფართოვდეს გაეროს წესდების იმ ვალდებულებებით, რომლებიც მიიჩნევა უპირატესად ყოველგვარი ექვის გარეშე კონკრეტულ სიტუაციებში.

CERDS-გან განსხვავებით, NIEO დეკლარაცია მიღებულ იქნა ყოველგვარი საწინააღმდეგო ხმის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებულ ქვეყნებს არ ჰქონდათ რაიმე წინააღმდეგობა PSNR პრინციპი დახასიათებულიყო როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი. თუმცა, ისინი წინააღმდეგობას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ PSNR პრინციპი აღიარებულიყო როგორც სახელმწიფოების, ხალხების ან ინდივიდების განუყოფელი უფლება. ცივი ომის დასასრულმაც კი არ აიძულა განვითარებული ქვეყნები, შეეცვალათ პოზიცია PSNR-ის, როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპის მიმართ. ეს აშკარაა გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის რეზოლუციიდან, რომლის სახელწოდებაცაა „*გამჭვირვალობის გაძლიერება ინდუსტრიებში*“. აღნიშნული რეზოლუცია იხსენებს 1962 წლის რეზოლუციას და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „*ყველა სახელმწიფოს აქვს სრული მუდმივი სუვერენიტეტი მის სიმდიდრეზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკურ აქტივობებზე და აქვს უფლება, თავისუფლად განახორციელოს იგი*“<sup>41</sup>. გარდა გაეროს გენერალური ასამბლეის 2008 წლის რეზოლუციისა, ეს ასევე შესამჩნევია გენერალური ასამბლეის 2013 წლის რეზოლუციიდან<sup>42</sup>, სახელწოდებით „*ტრანსსასაზღვრო წყალსაცავების კანონი*“. იგი იხსენებს 1962 წლის რეზოლუციას და აღიარებს ტრანსსასაზღვრო წყალსაცავის მფლობელი

<sup>36</sup> Eduardo Jimenez de Arechaga, Francois Ernest Robert Rigaux და Subrata Roy Chowdhury წარმოადგენენ იმ თეზისის გამოჩენილ მხარდამჭერებს, რომლის თანახმადაც ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტი არის *Jus cogens*-ის სტატუსის მქონე პრინციპი: see Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 375. ასევე, სხვებს შორის, იან ბრაუნლი და ალექსანდრე ორახელაშვილი მიიჩნევენ, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს აქვს იმპერატიული ნორმის ნიშანთვისება: See, respectively, Ian Brownlie, 'Legal Status of Natural Resources in International Law' (1979) 162 *Recueil des Cours* 245, 255, and Alexander Orakhelashvili, *Peremptory Norms in international Law* (OUP 2008) 52-53.

<sup>37</sup> See, eg, Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 377.

<sup>38</sup> Margot E Salomon, 'From NIEO to Now and the Unfinishable Story of Economic Justice' (2013) 62 *ICLQ* 31, 33.

<sup>39</sup> გაეროს წესდების „*სხვადასხვა დებულებების*“ თავში, 103-ე მუხლი ითვალისწინებს წესდებით განსაზღვრული ვალდებულებების უპირატეს ძალას: „*იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის წევრების ვალდებულებები წინამდებარე წესდების თანახმად წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან სხვა რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ მათ ვალდებულებებთან, უპირატესი ძალა აქვს წინამდებარე წესდებაში აღნიშნულ ვალდებულებებს*“.

<sup>40</sup> See, among others, Rain Liivoja, 'the Scope of the Supremacy Clause of the United Nations Charter' (2008) 57 *ICLQ* 583.

<sup>41</sup> UNGA Res 62/274 (11 September 2008) UN Doc A/RES/62/274, preamble.

<sup>42</sup> UNGA Res 68/118 (16 December 2013) UN Doc A/RES/68/118.

სახელმწიფოს „სუვერენიტეტის მის ტერიტორიაზე მდებარე ტრანსსასაზღვრო წყალსაცავის ან წყალსაცავის სისტემის ნაწილზე“<sup>43</sup>. როგორც 2008 წლის, ასევე 2013 წლის გაეროს რეზოლუცია მოითხოვს ტრანსსასაზღვრო წყალსაცავის მფლობელი თითოეული სახელმწიფოსგან, განახორციელოს სუვერენიტეტი „საერთაშორისო სამართლისა“ და შესაბამისი რეზოლუციების „არსებული მუხლების“ საფუძველზე<sup>44</sup>. აღნიშნული რეზოლუციები ცდილობენ დააბალანსონ ტრანსსასაზღვრო წყალსაცავის მფლობელი თითოეული სახელმწიფოს უფლებები იმ ვალდებულების დაკისრებით, რომლის თანახმად ტრანსსასაზღვრო წყალსაცავი ან წყალსაცავის სისტემები გამოყენებულ უნდა იქნას „თანასწორი და გონივრული გამოყენების“ პრინციპის შესაბამისად<sup>45</sup>, რაც მოგვაგონებს მდგრადი განვითარების პრინციპს.

რამდენიმე შემთხვევაში, გაეროს უშიშროების საბჭომ მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპზე კონკრეტულ ქვეყნებში, თუმცა, არ მოუხსენიებია 1962 წლის რეზოლუცია. მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულია რეზოლუციები ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში<sup>46</sup> და ლიბერიაში<sup>47</sup>. მიიღო რა მხედველობაში ექსპერტთა პანელის მიერ შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები „ბუნებრივი რესურსებისა და სხვა ფორმის სიმდიდრის უკანონო ექსპლუატაციის შესახებ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“<sup>48</sup>, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო არაერთი ღონისძიება, რათა აღედგინა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი მის ბუნებრივ რესურსებზე<sup>49</sup>. ამ პროცესში ჩამოყალიბდა უპრეცედენტო საერთაშორისო არქიტექტურა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის სერიოზულ დარღვევებზე საპასუხოდ დიდი ტბების რეგიონში. 1962 წლის რეზოლუციის მიღების დროს მისი ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის დარღვევები ერთ დღეს გაეროს უშიშროების საბჭოს უკარნახებდა, მიეღო აღსრულების ზომები გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად.

გარდა იმისა, რომ გამოხატულია საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა რეზოლუციებში და რამდენიმე მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების ტექსტში გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების, სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის, საერთაშორისო საზღვაო სამართლის, საერთაშორისო ენერგეტიკისა და საინვესტიციო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი აღიარებულია ასევე რამდენიმე საერთაშორისო სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილებაში<sup>50</sup>. *Texaco Arbitration* საქმეში, მაგალითად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ დეკლარაციასთან (NIEO) დაკავშირებული სხვადასხვა რეზოლუციების სამართლებრივი მნიშვნელობა და ამ რეზოლუციებიდან გამომდინარე ჩვეულებითი

<sup>43</sup> *ibid* art 3.

<sup>44</sup> *ibid*.

<sup>45</sup> *ibid* art 5.

<sup>46</sup> ITNSC Res 1457 (24 January 2003) UN Doc S/RES/1457.

<sup>47</sup> UNSC Res 1521 (22 December 2003) UN Doc S/RES/1521.

<sup>48</sup> Panel of Experts on the Illegal Exploitation of Natural Resources and Other Forms of Wealth of the Democratic Republic of the Congo, 'Final Report' (16 October 2002) UN Doc S/2002/1146.

<sup>49</sup> UNSC Res 2198 (29 January 2015) UN Doc S/RES/2198, paras 20-26.

<sup>50</sup> Nico Schrijver, 'Fifty Years Permanent Sovereignty over Natural Resources: The 1962 UN Declaration as the *Opinio Turis Communis*' in Marc Bungenberg and Stephan Hobe (eds), *Permanent Sovereignty over Natural Resources* (Springer 2015) 15-28, 24-26.

სამართლის ნორმის შესაძლო არსებობა. საქმის განმხილველმა არბიტრმა დაასკვნა, რომ 1962 წლის რეზოლუცია ასახავდა არსებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მდგომარეობას<sup>51</sup>, რითაც აღიარა, რომ 1962 წლის რეზოლუციაში გადმოცემული ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმას. თუმცა, საქმის განმხილველ არბიტრს არ ჰქონია მსგავსი პოზიცია CERDS-თან დაკავშირებით. ანალოგიურად, *Aminoil Arbitration* საქმეში სამი წევრისაგან შემდგარი ტრიბუნალის თანახმად, 1962 წლის რეზოლუცია განსაზღვრავს „კანონიერ ნაციონალიზაციასთან დაკავშირებული წესების ყველაზე ზოგად ფორმულირებას“, მაშინ როცა CERDS შეიცავს „ყველაზე საკამათო პუნქტს“ იგივე საკითხთან დაკავშირებით<sup>52</sup>.

*Aminoil Arbitration*-ისა და *Texaco Arbitration*-ის საქმეებში საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საქმეში „შეიარაღებული აქტივობები კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ)“ არ გაუმიჯნავს 1962 წლის რეზოლუცია CERDS-გან<sup>53</sup>. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გაიხსენა, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი გამოხატულია 1962 წლის რეზოლუციაში და უფრო მეტად განვითარებული საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ დეკლარაციასა (NIEO) და სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ქარტიაში (CERDS)<sup>54</sup>, ისე რომ ხაზი არ გაუსვამს 1962 წლის რეზოლუციასა და CERDS-ს შორის არსებული განსხვავებისთვის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო შეეცადა გადაეწყვიტა PSNR-ის სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხი, „აღიარა რა ამ პრინციპის, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპის მნიშვნელობა“<sup>55</sup>.

საქმეში „შეიარაღებული აქტივობები კონგოს ტერიტორიაზე“ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ასევე განიხილა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის შინაარსობრივი ფარგლები. ამ კუთხით მთავარი საკითხი იყო, იყო თუ არა „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაცია, მიტაცება და ძარცვა“ უგანდის სამხედრო ძალების მიერ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის „სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, უფრო კონკრეტულად კი, ბუნებრივ რესურსებზე მისი სუვერენიტეტის“ პრინციპის დარღვევა<sup>56</sup>. მართალია, აღიარა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული პრინციპი „არ მიესადაგებოდა ბუნებრივი რესურსების მიტაცების, ძარცვისა და უკანონო ექსპლუატაციის კონკრეტულ მოქმედებებს, რომელსაც ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალები ახორციელებდნენ სხვა სახელმწიფოში სამხედრო ინტერვენციისას“<sup>57</sup>. ასე რომ, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არ ყოფილა

<sup>51</sup> *Texaco Arbitration* (n 22) para 87.

<sup>52</sup> *Award in the Matter of an Arbitration between Kuwait and the American Independent Oil Company (AMINOIL)* (1982) 21 ILM 976 (*Aminoil Arbitration*) paras 143-44.

<sup>53</sup> *Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v Uganda)* (Judgment) [2005] ICJ Rep 168.

<sup>54</sup> *ibid* para 244.

<sup>55</sup> *ibid*.

<sup>56</sup> *ibid* para 226.

<sup>57</sup> *ibid* para 244.

მოაზრებული როგორც სახელმძღვანელო სტანდარტი ყველა სახის სიტუაციებისთვის. მისი ლიმიტები აშკარა ხდება მისი გამოყენების დროს კონკრეტულ სიტუაციებში.

### 3 ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში

1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ<sup>58</sup>, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ (ადამიანის უფლებათა საბჭოს წინამორბედი ორგანო) დაიწყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICESCR) ტექსტების შემუშავება. ამ პროცესის დროს, კომისიის წევრებს ჰქონდათ დისკუსიები თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ამ კუთხით ჩილემ წამოაყენა შემოთავაზება, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება უნდა მოიცავდეს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტს<sup>59</sup>. დასავლეთის ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ ჩილეს შემოთავაზებას იმ საფუძვლით, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია არ იყო კომპეტენტური ორგანო, რათა განეხილა სახელმწიფოების უფლებები და მოვალეობები<sup>60</sup>. მაგრამ, ყოფილი საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ჩილეს შემოთავაზებას და აცხადებდა, რომ მის მოწინააღმდეგეებს ან კოლონიური დომინაციის დაკარგვის ემინოდან ან სურდათ გაეგრძელებინათ მათ კონტროლს ქვემ არსებული ტერიტორიების ეკონომიკური ექსპლუატაცია<sup>61</sup>.

ჩილეს შემოთავაზების მიღების შემდეგაც კი, რაც გამოიხატა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1952 წელს რეზოლუციის „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტში ან პაქტებში ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებული მუხლის შეტანის შესახებ“<sup>62</sup> მიღებაში, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები აგრძელებდნენ დებატებს იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა სახელმწიფოებს და ხალხებს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება. 1954 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიაში გამართული დებატები დასრულდა ადამიანის უფლებათა ორივე საერთაშორისო პაქტის სამუშაო ტექსტში 1 საერთო მუხლის შეტანით<sup>63</sup>. 1 საერთო მუხლი იკითხებოდა შემდეგნაირად:

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის.
2. ყველა სახელმწიფო, მათ შორის, არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოები და ის სახელმწიფოები, რომლებიც აკონტროლებენ ამ უფლების განხორციელებას სხვა ხალხების მიერ ნებისმიერი ფორმით, ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ამ უფლების რეალიზაციას მის ყველა ტერიტორიაზე და პატივი სცენ ამ უფლების შენარჩუნებას სხვა სახელმწიფოებში, გაეროს წესდების დებულებების შესაბამისად.
3. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება ასევე უნდა მოიცავდეს მათ ბუნებრივ სიმდიდრესა და რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტს. არავითარ შემთხვევაში არ

<sup>58</sup> Universal Declaration of Human Rights (adopted 10 December 1948) UNGA Res 217 A(111).

<sup>59</sup> Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 49.

<sup>60</sup> *ibid* 50.

<sup>61</sup> *ibid*.

<sup>62</sup> ITNGA Res 545 (VI) (5 February 1952) UN Doc A/C/3/SR.399.

<sup>63</sup> Draft International Covenants on Human Rights: Report of the 3rd Committee (29 November 1954) UN Doc A/2808.

შეიძლება ხალხს ჩამოერთვას საკუთარი საარსებო საშუალებები სხვა სახელმწიფოების მიერ მოთხოვნილი რაიმე უფლების საფუძველზე.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის, როგორც თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი ნაწილის აღიარება საკამათო გახდა დასავლეთის ქვეყნებისთვის, რადგან მათთვის თვითგამორკვევის პრინციპს არაფერი ჰქონდა საერთო ბუნებრივი რესურსების კონტროლის საკითხთან, რაც სუვერენიტეტის პრინციპის მახასიათებლად მიიჩნეოდა. ოპონენტების აზრით, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის, როგორც უფლების ხელშეკრულებაში გათვალისწინების შემთხვევაში, იგი იქნებოდა „*პოტენციური საფრთხე უცხოური ინვესტიციებისთვის და ნაკლებად განვითარებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობისთვის*“<sup>64</sup>. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობა დაძლია თვითგამორკვევის უფლების, მათ შორის, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ადვოკატებამ განვითარებადი ქვეყნებისა და სოციალისტური ქვეყნების მიერ. ეს ქვეყნები ხაზს უსვამდნენ, რომ შემოთავაზება ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებში ასახვის შესახებ „*არ იყო გამიზნული იმისკენ, რომ უცხოური ინვესტიციები დაებრკოლებინა ექსპროპრიაციის ან კონფისკაციის მუქარით. იგი იყო იმ უცხოური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართული გაფრთხილება, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყოლოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკუთარი საარსებო წყაროს წართმევა*“<sup>65</sup>.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ინკორპორაციას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების სამუშაო ტექსტებში 1954 წელს თან მოჰყვა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ კომისიის დაარსება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1958 წელს<sup>66</sup>. 1959 წლის მაისში, ჩილემ წამოაყენა ხედვა, რომ „*თავისუფლება და დამოუკიდებლობა არაფერს ნიშნავდა ეკონომიკური საფუძველების გარეშე*“<sup>67</sup>. ჩილემ და ყოფილმა საბჭოთა კავშირმა ასევე წამოაყენეს წინადადება, რომ ხალხებისა და ერების უფლება, ჰქონოდათ მუდმივი სუვერენიტეტი ბუნებრივ რესურსებზე „*უნდა განხორციელებულიყო შესაბამის სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის სასარგებლოდ*“<sup>68</sup>. მოწინააღმდეგეები, ერთის მხრივ, აცხადებდნენ, რომ „*თვითგამორკვევა აღიარებული იყო როგორც პრინციპი და არა როგორც უფლება გაეროს წესდებაში და საექვო იყო, ნამდვილად არსებობდა თუ არა „ბუნებრივ სიმდიდრესა და რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის“ სამართლებრივი კონცეფცია საერთაშორისო სამართალში*“<sup>69</sup>. ნათელია, რომ ოპონენტები ერიდებოდნენ, მიეღოთ რაიმე ცვლილება საერთაშორისო სამართლის ძველ წესრიგში. საინტერესოა ოპონენტების აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ „*არსებული საერთაშორისო სამართალი უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით ინვესტორთა უმრავლესობისთვის იყო არასრული, ბუნდოვანი, საკამათო და არ ჰქონდა*

<sup>64</sup> Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 58-59.

<sup>65</sup> Annotations on the text of the Draft International Covenants on Human Rights (1 July 1955) UN GAOR 10th Session, UN Doc A/2929, 15.

<sup>66</sup> Recommendations concerning International Respect for the Right of Peoples and Nations to Self-determination, UNGA Res 1314 (XIII) (12 December 1958) UN Doc A/RES/1188, para 1.

<sup>67</sup> Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 60.

<sup>68</sup> *ibid* 65.

<sup>69</sup> *ibid* 68.

ეფექტური აღსრულების მექანიზმები<sup>70</sup>. თუმცა, ისინი ვერ ხედავდნენ პრობლემას იმაში, რომ სამართლის იგივე დარგი გამოყენებულიყო მასპინძელ ქვეყანასთან მიმართებით.

1960 წელს გაერომ მიიღო დეკლარაცია „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“, საწინააღმდეგო ხმის გარეშე, რაც წარმოადგენდა გარდამტეხ მომენტს გაეროს ისტორიაში<sup>71</sup>. ამ ისტორიულმა აქტმა ხელი შეუწყო 1962 წელს რეზოლუციის მიღებას ბუნებრივ რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტთან დაკავშირებით დიდი წინააღმდეგობის გარეშე. ოთხი წლის შემდეგ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ასევე მიიღო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები, 1 საერთო მუხლით თვითგამორკვევის უფლების, მათ შორის, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ<sup>72</sup>. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებში ასევე შეიტანა შემდეგი საერთო დებულება: „წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ზიანი მიადგეს ყველა ხალხის განუყოფელ უფლებას, სრულად და თავისუფლად ფლობდნენ და სარგებლობდნენ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრითა და რესურსებით“<sup>73</sup>. საერთაშორისო პაქტების 1 (2) საერთო მუხლი ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლების მაკვალიფიცირებელ ნიშნად მიიჩნევს მის განხორციელებას „ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე“. ICESCR-ის 25-ე მუხლითა და ICCPR-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო დებულება კი არ შეიცავს ამგვარ მაკვალიფიცირებელ ნიშანს. ამან შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება ICCPR-ისა და ICESCR-ის ტექსტებში ორ სხვადასხვა ადგილზე არის გათვალისწინებული, ტექსტუალური თანმიმდევრულობის გარეშე<sup>74</sup>. თუმცა, საერთაშორისო პაქტების ტექსტების შემუშავების ისტორია არ ქმნის არათანმიმდევრულობის შთაბეჭდილებას ბუნებრივ რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტთან დაკავშირებული დებულებების ასპექტში. მაშინ როცა 1(2) საერთო მუხლი შედგენილია უფლებების ენაზე, ICESCR-ის 25-ე მუხლითა და ICCPR-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო დებულება იმეორებს საერთაშორისო სამართლის არსებულ პრინციპს. აქ არ იკვეთება ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის არათანმიმდევრული კოდიფიკაციის რაიმე განზრახვა.

ამგვარად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის, როგორც ხალხთა უფლების აღიარება პირველად მოხდა 1954 წლის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების სამუშაო ტექსტებში. შემდეგ კი 1962 წლის რეზოლუციით ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ ისეთივე წვლილი შეიტანა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის, როგორც უფლების აღიარების საქმეში, როგორც ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ კომისიამ ამ უფლების, როგორც პრინციპის წარმოჩენაში. თვითგამორკვევის უფლების მსგავსად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება ამყარებს კავშირს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებსა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს შორის. ის ქმნის საერთო ნიადაგს ადამიანის უფლებების პირველ და მეორე თაობებს შორის. ამას გარდა, ის ახდენს იმის ილუსტრირებას, რომ ყველა ადამიანის

<sup>70</sup> Salacuse (n 27) 86.

<sup>71</sup> Declaration on the Granting of Independence to Colonial Countries and Peoples (14 December 1960) UNGA Res 1514 (XV).

<sup>72</sup> ICCPR, art 1; ICESCR, art 1.

<sup>73</sup> ICESCR, art 25; ICCPR, art 47.

<sup>74</sup> Salolmon (n 38) 44.

უფლება არის ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული. შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის/უფლების უგულვებელყოფა არღვევს არა მხოლოდ ხალხებისა და ერების ეკონომიკურ უფლებას, არამედ ასევე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს.

მაშინ როცა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არის თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი ნაწილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების პირველი საერთო მუხლის თანახმად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება ცალკე მდგომი უფლებაა ადამიანისა და ხალხთა უფლებების შესახებ 1981 წლის აფრიკული ქარტიის თანახმად (აფრიკული ქარტია), თვითგამორკვევის უფლებასთან მისი შერწყმის გარეშე. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება წარმოდგენილია აფრიკული ქარტიის 21-ე მუხლში:

1. ყველა ხალხს აქვს უფლება თავისუფლად განკარგოს მისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები. ეს უფლება უნდა განხორციელდეს ხალხთა ექსკლუზიური ინტერესის შესაბამისად. ხალხს არცერთ შემთხვევაში არ უნდა წაერთვას ეს უფლება.
2. ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების განადგურების შემთხვევაში, უფლებადარღვეულ ხალხს აქვს უფლება მისი საკუთრების კანონიერ აღდგენასა და ადეკვატურ კომპენსაციაზე.
3. ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების თავისუფალი განკარგვა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის ვალდებულებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ურთიერთპატივისცემის, სამართლიანი ნაცვალებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.
4. მოცემული ქარტიის მონაწილე სახელმწიფოები ინდივიდუალურად და კოლექტიურად ახორციელებენ მათი ბუნებრივი სიმდიდრისა და რესურსების თავისუფალი განკარგვის უფლებას აფრიკული ერთიანობისა და სოლიდარობის გაძლიერების თვალთახედვით.
5. მოცემული ქარტიის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან აღმოფხვრან უცხოური ექსპლუატაციის ყველა ფორმა, განსაკუთრებით, საერთაშორისო მონოპოლიების პრაქტიკაში გავრცელებული ფორმები, იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა მისცენ მათ ხალხს, სრულად ისარგებლონ მათი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე სიკეთეებით.

აფრიკული ქარტიით გათვალისწინებული ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება ბევრად სცილდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების 1(2) საერთო მუხლს. იგი ასახავს „*მესამე თაობის უფლებების*“ ერთ-ერთ უფლებას<sup>75</sup> და მის დარღვევებს სერიოზული ყურადღება ექცევა აფრიკული ქარტიის მონიტორინგის ორგანოების მიერ<sup>76</sup>. შედეგად, აფრიკული ქარტიის დახმარებით

<sup>75</sup> African Commission on Human and Peoples' Rights, *Antonie Bissangou v Republic of Congo*, Communication No 253/02 (15-29 November 2006), Decision adopted at the 40th session (Merits) para 80.

<sup>76</sup> მაგალითად, საქმეში *The Social and Economic Rights Action Centre and the Centre for Economic and Social Rights v Nigeria* ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულმა კომისიამ დაადგინა, *inter alia*, აფრიკული ქარტიის 21-ე მუხლის დარღვევა, რადგან ნიგერიის მთავრობამ „ხელი შეუწყო ოგონილენდის განადგურებას“ და ნება დართო „კერძო აქტორებს, უფრო კონკრეტულად კი ნავთობის მომპოვებელ კომპანიებს, გამანადგურებელი ზეგავლენა მოეხდინათ ოგონილენდის მკვიდრ მოსახლეობაზე“. See African Commission on Human and Peoples' Rights, *The Social and Economic Rights Action Centre and the Centre for Economic and Social Rights v Nigeria*, Communication No 155/96 (13-27 October 2001), Decision adopted at the 30th ordinary session (Merits) para 58.

ჩამოყალიბდა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის არა მხოლოდ ხალხზე ორიენტირებული უფლება, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის არსებითი ნაწილი, არამედ მან ასევე უზრუნველყო ეს უფლება საკუთარი იდენტობით.

მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ 2007 წელს დეკლარაციის მიღებამ (2007 წლის დეკლარაცია) ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს ახალი ბიძგი მისცა<sup>77</sup>. CERDS-ის მსგავსად, 2007 წლის დეკლარაციას არ მიუღია ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მხარდაჭერა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისას<sup>78</sup>. თუმცა, მკვიდრი მოსახლეობის უფლებების ფართო მხარდაჭერა წარმოაჩინეს, რომ რამდენიმე ქვეყნის წინააღმდეგობა არ ახდენს ამ უფლებების სამართლებრივ მნიშვნელობაზე არსებით ზეგავლენას. 1962 წლის რეზოლუციის მოხსენიების გარეშე, 2007 წლის დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ უფლებებს შემდეგნაირად აყალიბებს:

1. მკვიდრ მოსახლეობას უფლება აქვს იმ მიწებზე, ტერიტორიებსა და რესურსებზე, რომლებსაც ისინი ტრადიციულად ფლობდნენ, იკავებდნენ ან სხვაგვარად იყენებდნენ ან მოიპოვებდნენ.
2. მკვიდრ მოსახლეობას უფლება აქვს ფლობდეს, გამოიყენოს, განავითაროს და აკონტროლოს ის მიწები, ტერიტორიები და რესურსები, რომლებიც მათ ტრადიციულ საკუთრებას წარმოადგენს ან რომლებსაც ისინი ფლობენ მათი ტრადიციული დაკავების ან გამოყენების შედეგად ან მოიპოვეს რაიმე სხვა გზით.
3. სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ სამართლებრივი აღიარება და დაცვა ზემოაღნიშნულ მიწებს, ტერიტორიებსა და რესურსებს. ასეთი აღიარება უნდა განხორციელდეს შესაბამისი მკვიდრი მოსახლეობის ჩვეულებების, ტრადიციებისა და მიწის ფლობის სისტემების სათანადო პატივისცემით<sup>79</sup>.

2007 წლის დეკლარაცია დამატებით ითვალისწინებს, რომ „*მკვიდრი მოსახლეობა არ უნდა იქნას იძულებით გადაადგილებული მათი მიწებიდან და ტერიტორიებიდან*” და არავითარი „*რელოკაცია არ უნდა განხორციელდეს შესაბამისი მკვიდრი მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობისა და სამართლიან კომპენსაციაზე შეთანხმების გარეშე. სადაც შესაძლებელია, უნდა არსებობდეს უკან დაბრუნების გზა*”<sup>80</sup>. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოები დაექვემდებარნენ გარკვეულ უპრეცედენტო ვალდებულებებს მკვიდრ მოსახლეობასთან მიმართებით. ვიწრო ინტერესების მქონე სახელმწიფო აქტორების აღქმების საწინააღმდეგოდ, ეს არაორდინალური რეჟიმი აძლიერებს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს იმით, რომ იგი ფოკუსირებას ახდენს ხალხის კეთილდღეობაზე. ეს პრინციპი უთუოდ მოიცავს სახელმწიფოების ვალდებულებას, პატივი სცენ და დაიცვან ხალხების

<sup>77</sup> United Nations Declaration on the Rights of Indigenous People, **UNGA Res 61/295 (13 September 2007)** **UN Doc A/RES/61i/295** (2007 Declaration).

<sup>78</sup> 2007 წლის დეკლარაცია მიღებულ იქნა 144 სახელმწიფოს მხარდამჭერი ხმით, 4-ის წინააღმდეგ (ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და ამერიკის შეერთებული შტატები). 11-მა სახელმწიფომ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა. მაშინ როცა CERDS-ის მიღების წინააღმდეგი იყვნენ კაპიტალის ექსპორტიორი წამყვანი ქვეყნები იდეოლოგიურ ნიადაგზე, 2007 წლის დეკლარაციის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ ის განვითარებული ქვეყნები, სადაც სახლობდა მნიშვნელოვანი რაოდენობით მკვიდრი მოსახლეობა.

<sup>79</sup> 2007 Declaration, art 26.

<sup>80</sup> *ibid* art 10.

უფლებები მათ ბუნებრივ რესურსებზე და აღიარებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას მათი მოწყვლადობის გამო.

გარდა მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა მათ ბუნებრივ რესურსებთან მიმართებით, 2007 წლის დეკლარაცია აღიარებს მათი განვითარების უფლებას „*მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად*“<sup>81</sup>. იგი ასევე აცხადებს, რომ „მკვიდრ მოსახლეობას, რომელსაც წაერთმევა განვითარებისა და არსებობის საშუალებები, აქვს უფლება სამართლიან ზიანის ანაზღაურებაზე“<sup>82</sup>. მაგალითად, საქმეში *Mayagna (Sumo) Awas Tingni Community v Nicaragua*, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ (IACtHR) მოსთხოვა ნიკარაგუის მთავრობას, მოეხდინა „*ინვესტირება, როგორც რეპარაცია არამატერიალური ზიანისთვის (...)* კოლექტიური ინტერესის სამუშაოებში ან სერვისებში *Mayagna (Sumo) Awas Tingni-ის თემის სასარგებლოდ*“ და „*შეეშინა ეფექტური მექანიზმი*“, რათა დაეცვა „*მკვიდრი მოსახლეობის საკუთრება მათი ჩვეულებითი სამართლის, ფასეულობებისა და ჩვეულებების შესაბამისად*“<sup>83</sup>. აღიარებს რა მკვიდრი მოსახლეობის ფართო სპექტრის უფლებებს, 2007 წლის დეკლარაცია აყალიბებს სახელმწიფოების შესაბამის ვალდებულებებს, რასაც მოაქვს ახალი გამოწვევა სახელმწიფოების, ხალხების, თემებისა და ინდივიდების უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსების კუთხით. ვინაიდან ზოგიერთი მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრებელი არეალი სცდება რამდენიმე ქვეყნის საზღვარს აფრიკაში<sup>84</sup>, რთულია ამ თემების, შესაბამისი სახელმწიფოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსება ტრანსსასაზღვრო მასშტაბით. შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2007 წლის დეკლარაცია წარმოადგენს სპეციალურ პაკეტს თვითგამორკვევის, განვითარებისა და ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლებებთან დაკავშირებით; იგი ხაზს უსვამს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ხალხზე ორიენტირებულ ბუნებას და წარმატებით აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ საერთაშორისო სამართლის ორთოდოქსულ დოქტრინას.

ცხადია, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განზომილებები უფრო ფართოა, ვიდრე ის, რასაც ამ პრინციპის მომხრეები ელოდნენ 1960-იან და 1970-იან წლებში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პრინციპის ნაწილია უცხოელი ინვესტორების უფლებების დაცვა, მათი უფლებების დარღვევების საქმეებმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა კონკრეტული ხელშეკრულების გამოყენება, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დარღვევები გავლენას ახდენს ხელშეკრულების დებულებებზე. მაგალითად, საქმეში *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia*<sup>85</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია, *inter alia*, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6 (1))<sup>86</sup> განმცხადებელი კომპანიის მიმართ, მიმართა რა სახელმწიფოს სამართლებრივი და საგადასახადო სისტემის არასამართლიან

<sup>81</sup> *ibid* preamble, para 6, art 23.

<sup>82</sup> *ibid* art 20(2).

<sup>83</sup> *Case of the Mayagna (Sumo) Awas Tingni Community v Nicaragua* (Merits, Reparations and Costs) Inter-American Court of Human Rights Series C No 79 (31 August 2001) (*Mayagna (Sumo) Awas Tingni Community*) para 173.

<sup>84</sup> African Commission on Human and Peoples' Rights, *Advisory Opinion on the United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples*, Opinion adopted at the 41st ordinary session (16-30 May 2007) para 30.

<sup>85</sup> *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia* App no 14902/04 (European Court of Human Rights, 20 September 2011) (*OAO Neftyanaya*).

<sup>86</sup> European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (adopted 4 November 1950, entered into force 3 September 1953) ETS No 5.

გამოყენებას<sup>87</sup>. შემდეგ კი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოსთხოვა რუსეთის ფედერაციას გადაეხადა US\$2.51 მილიარდი, როგორც ზიანის ანაზღაურება გაკოტრებული კომპანია *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos*-ის აქციონერებისათვის<sup>88</sup>.

მაშინ როცა *Awat Tingni Community* საქმეში<sup>89</sup> გამოყენებულ იქნა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ინდივიდებისა და თემების უფლებების გასამლიერებლად შესაბამისი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ დეკლარაციის დრაფტის თანახმად<sup>90</sup>, *Yukos* საქმეში მომჩივანი ინდივიდების უფლებებს მიენიჭა უპირატესობა განსახილველი სახელმწიფოს უფლებებთან შედარებით. თუ ამ ორ საქმეს ერთად წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპმა უფრო მეტი წვლილი შეიტანა ინდივიდების/თემების, ვიდრე სახელმწიფოების უფლებების განვითარებაში. ასე რომ, ამ პრინციპს აქვს იგივე პოტენციალი, რომ დაიცვას ინდივიდების, თემებისა და უცხოელი ინვესტორების, მათ შორის, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები, როგორც სახელმწიფოების. ეს საკითხი წარმოაჩინს გაზრდილ ურთიერთკავშირს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო საინვესტიციო სამართალს შორის. იგი ასევე ასახავს ცვლილებას სახელმწიფოების უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსების კუთხით. ამჟამად, ადამიანის უფლებების სფეროში, სახელმწიფოებს ეკისრებათ უფრო მეტი ვალდებულებები და ისინი ვეღარ წამოაყენებენ პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლების მთავარი ბენეფიციარები არიან.

#### 4 ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის განვითარებისკენ მიმართული მოძრაობა 1950-1970-იან წლებში წარმოადგენდა კოლექტიურ პასუხს განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებებზე საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის მიმართულებით. თავისი კოლონიური მემკვიდრეობით, ტრადიციული საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი შეიცავდა გარკვეულ საკამათო ნიშან-თვისებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური იყო კონცესიის ხელშეკრულებები და ჰულის ფორმულა, რომლებიც აღმოჩნდნენ საზიანო ამ ქვეყნების ინტერესებისთვის<sup>91</sup>. ასევე, კალვოს დოქტრინის მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნების მიმართ გამოიყენებოდა ტრადიციული საერთაშორისო სამართლის პროცედურა უცხოელ ინვესტორებთან მათი

<sup>87</sup> *OAO Neftyanaya* (n 85).

<sup>88</sup> *ibid.*

<sup>89</sup> *Mayagna (Sumo) Awat Tingni Community* (n 83). ამ საქმეში, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ (IACtHR) დაასკვნა, რომ ნიკარაგუის მთავრობამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის 21-ე მუხლი (საკუთრების უფლება) და 25-ე მუხლი (სასამართლო დაცვის უფლება) *Mayagna (Sumo) Awat Tingni* თემის მიმართ (American Convention on Human Rights (adopted 22 November 1969, entered into force 18 July 1978) 1144 UNTS 123). შესაბამისად, მან მოსთხოვა მთავრობას „შემუშაებინა ეფექტური მექანიზმი“, რათა დაეცვა „მკვიდრი მოსახლეობის საკუთრება მათი ჩვეულებითი სამართლის, ფასეულობებისა და ჩვეულებების შესაბამისად“. (*Mayagna (Sumo) Awat Tingni Community* (n 83) para 173).

<sup>90</sup> Draft Declaration on the Rights of Indigenous Peoples, UN Res 1995/32 (3 March 1995) UN Doc E/CN.4/2006/79.

<sup>91</sup> See, among others, Kate Miles, *The Origins of International Investment Law: Empire, Environment and the Safeguarding of Capital* (CUP 2013) 28.

დავების გადასაწყვეტად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები, ძირითადად, შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქციის საგანს წარმოადგენდა<sup>92</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებად ქვეყნებს სურდათ განემტკიცებინათ ეროვნული სუვერენიტეტი მათი იურისდიქციის ქვეშ არსებულ პირებზე, მათ მოქმედებებსა და საკუთრებაზე, 1961 წელს აზიურ-აფრიკულმა სამართლებრივი კონსულტაციის კომიტეტმა ხაზი გაუსვა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის უპირატესობას მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „*უცხოელთა მიღებისა და მოპყრობის პრინციპები*“<sup>93</sup>. საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი იურისტი, *Bertrand G. Ramcharan* ამ სიტუაციას შემდეგნაირად აჯამებს:

აზიურ-აფრიკული სამართლებრივი კონსულტაციის კომიტეტის მიდგომა იყო ინტერამერიკული იურიდიული კომიტეტის მიდგომის მსგავსი იმ მხრივ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ტრადიციულ კანონებს იგი მიიჩნევდა დასავლეთ ევროპის პროდუქტად, რაც იყო უსამართლო და არასავალდებულო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალი სახელმწიფოებისთვის. კომიტეტები ასევე იზიარებდნენ სურვილს, გადაემუშავებინათ და გარდაექმნათ არსებული ტრადიციული სამართალი<sup>94</sup>.

1962 წლის რეზოლუცია შემუშავდა ზემოაღნიშნული ცვლილების მოთხოვნის ფონზე. 1962 წლის რეზოლუციაში წარმოდგენილი ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ადასტურებს „*ყველა სახელმწიფოს განუყოფელ უფლებას, თავისუფლად განკარგონ მათი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები, მათი ეროვნული ინტერესების შესაბამისად*“<sup>95</sup>. იგი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, მოახდინოს უცხოელი ინვესტორის საკუთრების ნაციონალიზაცია ან ექსპროპრიაცია. ამავე დროს, იგი აცხადებს, რომ „*მესაკუთრის მიმართ გადახდილი უნდა იქნას სათანადო კომპენსაცია, იმ სახელმწიფოში არსებული წესების მიხედვით, რომელიც მიმართავს ამ ღონისძიებებს საკუთარი სუვერენიტეტის განხორციელების პროცესში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად*“<sup>96</sup>. კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში, 1962 წლის რეზოლუცია მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვას და შეიცავს დავის გადაწყვეტის შესაძლებლობას არბიტრაჟის ან საქმის განხილვის საერთაშორისო მექანიზმის მეშვეობით, თუ სუვერენული სახელმწიფოები და სხვა შესაბამისი მხარეები თანხმდებიან გამოიყენონ ეს მექანიზმი<sup>97</sup>.

1962 წლის რეზოლუცია შეიცავდა კომპრომისს „*ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემასა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა უფლებებსა და*

<sup>92</sup> *ibid.*

<sup>93</sup> აზიურ-აფრიკული სამართლებრივი კონსულტაციის ორგანიზაციის თანახმად (Principles Concerning Admission and Treatment of Aliens (25 February 1961) <<http://www.refworld.org/docid/44eae2224.html>> accessed 17 November 2015), უცხოელის უფლება, მოიპოვოს, დაიკავოს და განკარგოს საკუთრება „*ექვემდებარება ადგილობრივ კანონებს, რეგულაციებსა და განკარგულებებს და ასევე იმ პირობას, რომელიც დაწესებულია მისი მიღებისთვის ამ სახელმწიფოში*“. (მუხლი 11). აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა შემდეგ დებულებას: „*სახელმწიფოს უფლება აქვს შეიძინოს უცხოელის საკუთრება, მოახდინოს მისი ექსპროპრიაცია ან ნაციონალიზაცია. ამისათვის მან უნდა გადაიხადოს კომპენსაცია ადგილობრივი კანონების, რეგულაციებისა და განკარგულებების შესაბამისად*“. (მუხლი 12).

<sup>94</sup> Bertrand G. Ramcharan, *The International Law Commission: its Approach to the Codification and Progressive Development of international Law* (Martinus Nijhoff 1977) 184.

<sup>95</sup> 1962 Resolution, preamble.

<sup>96</sup> *ibid* para 4 (emphasis added).

<sup>97</sup> *ibid.*

მოვალეობებს შორის<sup>98</sup>. იგი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა განვითარებადი ქვეყნების ინტერესები, მიუთითებდა რა შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის კომპენსაციის გადახდა უცხოური ინვესტიციის ექსპროპრიაციისათვის. ანალოგიურად, იგი ცდილობდა გაეთვალისწინებინა განვითარებული ქვეყნების ინტერესები, მიუთითებდა რა საერთაშორისო სამართალზე და საქმის განხილვის საერთაშორისო მექანიზმზე, ექსპროპრიაციის სანაცვლო კომპენსაციასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად. იგი ითვალისწინებდა „სათანადო“ კომპენსაციის სტანდარტს და არა „სწრაფ, ადეკვატურ და ეფექტურ“ კომპენსაციას. თუმცა, 1962 წლის რეზოლუცია ტოვებდა სივრცეს განსხვავებული ინტერპრეტაციებისათვის. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ მისი შეხედულებით, სიტყვა „სათანადო“ იყო სიტყვების „სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური“ ეკვივალენტური<sup>99</sup>. ამის გამო, „სათანადო“ მოპყრობის სტანდარტი და საერთაშორისო სამართალზე მითითება თანდათანობით შესუსტდა იგივე საკითხზე მიღებულ ორ შემდგომ რეზოლუციაში<sup>100</sup>. გაიზარდა ფოკუსი შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც უკავშირდებოდა ექსპროპრიაციას და კომპენსაციის გადახდას იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდებოდა უცხოური ინვესტიციის ექსპროპრიაცია. NIEO დეკლარაციასთან დაკავშირებული მოძრაობა ცდილობდა გაეძლიერებინა ძალისხმევა, რათა უპირატესობა მიენიჭებინა შიდასახელმწიფოებრივი სამართლისათვის საერთაშორისო სამართალთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების რეგულირებისა და დაცვის საკითხებში. CERDS შედეგად მოჰყვა სწორედ ამ პროცესს.

CERDS ცდილობს ყურადღება მიმართოს ტრადიციულ საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში არსებულ უსამართლობაზე. კალვოს დოქტრინის სულისკვეთებით, CERDS-ის 2(2)(a) მუხლი უფლებას აძლევს ყველა სახელმწიფოს, მოახდინოს უცხოური ინვესტიციების რეგულირება მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად. იყვნენ რა სენსიტიურები განვითარებადი ქვეყნების ლეგიტიმური მისწრაფებების მიმართ, ყველა განვითარებული ქვეყანა არ ეწინააღმდეგებოდა CERDS-ს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1962 წლის რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, საფრანგეთმა მხარი დაუჭირა CERDS-ის მიღებას. თუმცა, სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა ან თავი შეიკავეს ან ხმა მისცეს CERDS-ის წინააღმდეგ<sup>101</sup>. კერძოდ, კაპიტალის ექსპორტიორი წამყვანი ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ CERDS-ის 2(2)(a) მუხლს, რადგან მათ სურდათ, რომ „მასპინძელი ქვეყნები უცხოურ ინვესტიციებს მოპყრობოდნენ მათი აღქმების შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების დაცვით“<sup>102</sup>. ანალოგიურად, კაპიტალის ექსპორტიორი წამყვანი ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო CERDS-ის 2(2)(b) მუხლი, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს აძლევს უფლებას, დაარეგულიროს და ზედამხედველობა გაუწიოს ტრანსნაციონალური კორპორაციების (TNCs) აქტივობებს მისი შიდა იურისდიქციის

<sup>98</sup> Schrijver, *Sovereignty over Natural Resources* (n 4) 70.

<sup>99</sup> Frank G Dawson and Burns H Weston, "'Prompt, Adequate and Effective': A Universal Standard of Compensation?" (1962) 30 *Fordham L Rev* 727; *Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the United States* (n 20) 206.

<sup>100</sup> Permanent Sovereignty over Natural Resources (25 November 1966) UNGA Res 2158 (XXI); Permanent Sovereignty over Natural Resources (17 December 1973) UNGA Res 3171 (XXVIII).

<sup>101</sup> ექვსი მოწინააღმდეგე იყო: ბელგია, დანია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ლუქსემბურგი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

<sup>102</sup> Prabhaskar Ranjan, 'India and Bilateral Investment Treaties-A Changing Landscape' (2014) 29 *ICSID Rev* 419, 424.

ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი კანონებისა და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად. განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს დებულება იყო აუცილებელი, რადგან ამ დროისთვის არ არსებობდა ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან დაკავშირებული რაიმე ქცევის კოდექსი.

CERDS-ის 2(2)(c) მუხლი აღიარებს თითოეული სახელმწიფოს უფლებას, მოახდინოს უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაცია და განსაზღვროს კომპენსაციის თანხა მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად. ამას გარდა, იგი აცხადებს, რომ ნებისმიერი დავა კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს ეროვნული სასამართლოების მიერ, ეროვნული სამართლის დებულებების გამოყენებით. 1962 წლის რეზოლუციისგან განსხვავებით, CERDS არ იზიარებს „განვითარებული ქვეყნების მოთხოვნას, რომ კომპენსაციის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად”<sup>103</sup>, იქიდან გამომდინარე, რომ „განვითარებადი ქვეყნები უარყოფდნენ ნებისმიერი ასეთი პრინციპის არსებობას”<sup>104</sup>. სხვა სიტყვებით, მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნები იყენებდნენ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს, რათა მოეპოვებინათ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ამ პროცესში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მათ სუბორდინაციას საერთაშორისო სამართლის გაბატონებული წესებისადმი, განვითარებული ქვეყნები ხედავდნენ საფრთხეს მათი ეკონომიკური დომინაციისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის უპირატესობის შემთხვევაში. აღნიშნული მიზეზების გამო, განვითარებული ქვეყნები, ზოგადად, არ ანიჭებენ სამართლებრივ მნიშვნელობას CERDS-ს<sup>105</sup>. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ცხადად წარმოადგენდა დაპირისპირების სათავეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ქარტიამ კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა და საბოლოოდ, გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულმა კონფლიქტმა განვითარებად ქვეყნებს უზიარა დაახლოვებოდნენ სოციალისტურ ქვეყნებს. ამ დაპირისპირებამ განვითარებული ქვეყნები აიძულა, ადვოკატირება გაეწიათ საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ახალი არქიტექტურისთვის, ორმხრივი დიპლომატიის გამოყენებით, რა დროსაც მცირე იყო განვითარებადი და სოციალისტური ქვეყნების კომბინირებულ ძალასთან დაპირისპირების რისკი.

#### 4.1. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მომრავლება 1990-იან წლებში და ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპებიდან გადახვევა

მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნები კოლექტიურად ცდილობდნენ გათავისუფლებულიყვნენ კოლონიური უღლისგან, მათი უმრავლესობა ასევე „ინტენსიურ კონკურენციაში იყო ერთმანეთთან, რათა მოეზიდათ უცხოური ინვესტიციები”<sup>106</sup>. ზოგიერთი მათგანი დებდა ორმხრივ ხელშეკრულებას განვითარებულ ქვეყნებთან, არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, არამედ ინვესტიციების დასაცავად. განვითარებულმა ქვეყნებმა, პირველ რიგში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა განავითარეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების (BIT) პრაქტიკა, რათა შეეზოჭათ განვითარებადი ქვეყნები საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებებით უცხოური

<sup>103</sup> ibid 425.

<sup>104</sup> ibid.

<sup>105</sup> Salacuse (n 27) 84.

<sup>106</sup> Antony Anghie, *Imperialism, Sovereignty and the Making of International Law* (CUP 2005) 236.

ინვესტიციების დასაცავად, რადგან მათი დაცვის ტრადიციული საერთაშორისო მექანიზმები იყო რისკის ქვეშ მრავალმხრივი ინიციატივებისგან, როგორც არის CERDS და NIEO<sup>107</sup>. „აშშ-ს საგარეო ურთიერთობების შესახებ კანონზე“ კომენტარების შემუშავებისას, ერთ-ერთმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კაპიტალის ექსპორტიორმა ქვეყნებმა გამოიყენეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, რათა ეიძულებინათ განვითარებადი ქვეყნები, მიეღოთ ჰულის ფორმულის ყველა ან ზოგიერთი პირობა:

*„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გამუდმებით ეჭირა პოზიცია დიპლომატიურ ურთიერთობებსა და საერთაშორისო არენაზე, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, კომპენსაცია უნდა იყოს „სწრაფი, ადეკვატური და ეფექტური“. აღნიშნული ტერმინები ასახულია ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში. (...) ამ ფორმულირებას ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ განვითარებადი ქვეყნები. იგი არ ასახულა მრავალმხრივ შეთანხმებებში ან დეკლარაციებში და არ გამოყენებულა უნივერსალურად საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ. თუმცა, მისი ინკორპორაცია მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დადებულ ორმხრივი ხელშეკრულებების მნიშვნელოვან რაოდენობაში, ასევე, კაპიტალის ექსპორტიორი სხვა სახელმწიფოების მიერ, როგორც ურთიერთშორის, ასევე განვითარებად ქვეყნებთან“<sup>108</sup>.*

ამგვარად, იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებულ ქვეყნებს შედარებით ნაკლები უპირატესობა ჰქონდათ მრავალმხრივ ეკონომიკურ დიპლომატიაში, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები გახდა მათი ახალი სტრატეგიის ნაწილი. პირველი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება 1959 წლით თარიღდება<sup>109</sup>, როცა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ აღიარებული საერთაშორისო სამართალში. ასეთი ხელშეკრულებები არც თუ ისე პოპულარული იყო 1990-იანი წლების შუა ხანებამდე. ეს აშკარაა იმ ფაქტიდან, რომ 1980 წელს მხოლოდ 200 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება არსებობდა და 1990 წელს - დაახლოებით მხოლოდ 500, მაშინ როცა 2015 წლის აპრილის ბოლოს, ეს რიცხვი გაიზარდა და გადააჭარბა 3200-ს<sup>110</sup>. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც შეიცავდა ფართო სპექტრის წესებს უცხოური ინვესტიციების დასაცავად, იმას ნიშნავდა, რომ განვითარებადი ქვეყნები უფრო და უფრო მზად იყვნენ, მიეღოთ საერთაშორისო სამართალი, როგორც უცხოური ინვესტიციების რეგულირების ჩარჩო. აღნიშნული პროცესი ავლენდა, რომ სახეზე იყო მნიშვნელოვანი გადახვევა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპიდან ორი თვალსაზრისით: 1) განვითარებადი ქვეყნები, დიდწილად, ეთანხმებოდნენ, რომ უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაციისათვის კომპენსაციის გადახდის პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში წარმოდგენილ პრინციპებს და არა შიდასახელმწიფოებრივ სამართალს 2) განვითარებადი ქვეყნები ეთანხმებოდნენ, რომ

<sup>107</sup> Salacuse (n 27) 84-85-ის მიხედვით, CERDS „საფრთხის ქვეშ აყენებდა ტრადიციული საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის სიმყარეს უცხოური ინვესტიციებისათვის და უბიძგებდა როგორც ინვესტორებს, ასევე მათი წარმოშობის ქვეყნებს, ეძიათ საშუალებები ამ წესრიგის გასაძლიერებლად, რათა დაეცვათ მათი ეკონომიკური ინტერესები ახალ ეპოქაში“.

<sup>108</sup> *Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the United States* (n 20) 198.

<sup>109</sup> See Treaty for the Promotion and Protection of Investments (with Protocol and exchange of notes) (Federal Republic of German- Pakistan) (adopted 25 November 1959, entered into force 28 April 1962) 457 ITNTS 23.

<sup>110</sup> ეს რიცხვი მოიცავს 2926 ცალკე მდგომ საინვესტიციო ხელშეკრულებას ან ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებას და 347 ინვესტიციასთან დაკავშირებულ თავს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებში ან საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებებში. See UNCTAD, *World Investment Report 2015: Reforming International Investment Governance* (UN Publications 2015) 106.

უცხოელ ინვესტორებს შეეძლოთ წამოეწყოთ საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალწარმოება მათი სუვერენული ქმედებების წინააღმდეგ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად, ისე რომ არ ამოეწურათ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებები. იქიდან გამომდინარე, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები მიზნად ისახავდა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის დასუსტებასა და CERDS-ის ძალის შერყევას, ეს ხელშეკრულებები წარმოადგენს უცხოელი ინვესტორების უფლებების აღზევებას სახელმწიფოების სუვერენული უფლებების წინააღმდეგ, ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის სახელით. გაცხადებული საიდუმლოა, რომ „*ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები გარანტიებს აძლევენ ინვესტორებს, მაგრამ, როგორც წესი, არ ეხებიან მათ ვალდებულებებს*“<sup>111</sup>. ასეთი არათანაბარი ბუნების გამო, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები არათანაბარ ხელშეკრულებებს ემსგავსება<sup>112</sup>. თუმცა, ზოგიერთი კომენტატორი აღნიშნავს, რომ „*რეალობა ამაზე ცოტა უფრო ნიუანსირებულია*“<sup>113</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები არის თანამედროვე საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის საყრდენი, არსებობს ნდობის კრიზისი.

#### 4.2 ხელახლა ჩნდება თუ არა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპები საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში?

ხელშეკრულებები აერთიანებენ მათ ხელმომწერებს საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივით კონკრეტულ სფეროებში, მაგრამ, მათ ასევე აქვთ პოტენციალი წარმოქმნან კონფლიქტები. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდას ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში (ძირითადად, 1995-2015 წლებში) თან მოჰყვა დავების რაოდენობის შესაბამისი ზრდა უცხოელ ინვესტორებსა და მასპინძელ ქვეყნებს შორის. საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საჯაროდ ცნობილი საარბიტრაჟო დავების რაოდენობა 1996 წელს დაფიქსირებული 50-ზე მცირედით მეტი რაოდენობიდან 2014 წლის ბოლოს 608-მდე გაიზარდა<sup>114</sup>. ეს დავები ნიშნავდა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გამოყენებით, უცხოელი ინვესტორები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ სუვერენული სახელმწიფოების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი ღონისძიებების ფართო სპექტრს. სხვა სიტყვებით, საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალები (ITA) იღებდნენ გადაწყვეტილებებს, არღვევდა თუ არა სუვერენული სახელმწიფოების მიერ გამოყენებული აღნიშნული მარეგულირებელი ღონისძიებები მათი ორმხრივი

<sup>111</sup> Rudolf Dolzer and Christoph Schreuer, *Principles of international investment Law* (2nd edn, OUP 2012) 25.

<sup>112</sup> See, among others, Muthucumaraswamy Sornarajah, *The International Law on Foreign Investment* (3<sup>rd</sup> edn, CUP 2010) 39, 178-79, 188, 430.

<sup>113</sup> მაგალითად, Ranjan ყურადღებას აპყრობს იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით არსებობს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გარკვეული რაოდენობა განვითარებად ქვეყნებს შორის (მაგალითად, 2011 წლის ხელშეკრულება ინდოეთისა და ნეპალის მთავრობებს შორის, ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით), სადაც ორივე ქვეყანა ცდილობს დაიცვას უცხოური ინვესტიცია. Ranjan ასევე აცხადებს, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მიერ, რათა დაიცვან თავიანთი ინვესტიციები განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, 2014 წელს, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საქმეების 40% ადრული იყო განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ (see UNCTAD, *World Investment Report 2015* (n 110) 112).

<sup>114</sup> UNCTAD, 'Recent Trends in IIAs and ISDS' (2015) 1 UNCTAD IIA Issues Note I <<http://unctad.org/en/PublicationsLibrary/-wvebdiaepcb2015dl en.pdf>> accessed 5 July 2015.

საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამას შეეძლო ნეგატიური ზეგავლენა მოეხდინა მასპინძელი სახელმწიფოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და გამოეწვია უცხოელი ინვესტორებისთვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურება, რის შედეგადაც გადასახადების გადამხდელების თანხები გამოყენებული იქნებოდა უცხოელი ინვესტორების სასარგებლოდ. ამის გამო, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის მიმართ ჩამოყალიბდა გარკვეული წინააღმდეგობა<sup>115</sup>, რამაც ისეთ დონეს მიაღწია, რომ *Sornarajah*, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის წამყვანი ექსპერტი, არსებულ სისტემას მოიხსენიებს, როგორც „თაღლითურ სისტემას“<sup>116</sup>.

არსებობს არგუმენტი, რომ არბიტრების მცირე რიცხვი განვითარებული სახელმწიფოებიდან დომინირებს საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განმხილველი ტრიბუნალების საქმიანობაში და განსაზღვრავს სხვადასხვა ქვეყნების (ზოგიერთი ავტორის აზრით, მეტწილად განვითარებადი) საჯარო ინტერესებს. ისინი ხშირად იყენებენ საკამათო პრინციპებს, როგორც არის, „სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობის სტანდარტი“, როგორც დადგენილ იურისპრუდენციას<sup>117</sup>. საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში დემოკრატიის დეფიციტი წარმოადგენს წუხილის საგანს<sup>118</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ინვესტიციებთან დაკავშირებული არბიტრაჟი ძვირადღირებული პროცედურაა<sup>119</sup>, რომლის შედეგად შესაძლოა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ისეთი მაღალი ოდენობით ზიანის ანაზღაურებაზე, როგორც არის US\$1.061 მილიარდი (*a la the Oxy case*)<sup>120</sup> ან კიდევ US\$50.2 მილიარდი (*a la the Yukos საქმე*)<sup>121</sup>, სამართლიანობის ფასი ITA-ს მექანიზმის მეშვეობით ძალიან ძვირია. საეჭვოა, რამდენად შეძლებენ განვითარებადი ქვეყნები ამ საფასურის გადახდას.

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟზე რეაგირებისა და საკუთარი ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით, გარკვეულმა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს მათ მიერ დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები და ასევე გავიდნენ იმ მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან, რომლებიც გამოიყენებოდა მათ წინააღმდეგ

<sup>115</sup> See, among others, Asha Kaushal, 'Revisiting History: How the Past Matters for the Present Backlash against the Foreign Investment Regime' (2009) 50 *Haxard Intl LJ* 491; Louis T Wells, 'Backlash to Investment Arbitration: Three Causes' in Michael Waibel and others (eds), *The Backlash Against Investment Arbitration: Perceptions and Reality* (Kluwer Law International 2010).

<sup>116</sup> Muthucumaraswamy Sornarajah, 'International Investment Law as Development Law: The Obsolescence of a Fraudulent System' (2015) (forthcoming; on file with author).

<sup>117</sup> ამ კუთხით, *Sornarajah* აღნიშნავს, „იარაღის დიპლომატიის მარცხის შემდეგ, საინვესტიციო სფეროში ჩართული არბიტრები არიან მზაკვარი ჯარები, რომელთა ძვირადღირებული სამოქალაქო ტანსაცმლის უკან უცხოური ინვესტიციების ფარული მცველები იმალებიან“ (ibid).

<sup>118</sup> See, among others, Barnali Choudhury, 'Recapturing Public Power: Is Investment Arbitration's Engagement of the Public Interest Contributing to the Democratic Deficit?' (2008) 41 *Vanderbilt J Transnatl L* 775; Susan D Franck, 'The Legitimacy Crisis in Investment Treaty Arbitration: Privatising Public International Law through Inconsistent Decisions' (2004-05) 73 *Fordham L Rev* 1521.

<sup>119</sup> Sornarajah, *The International Law on Foreign Investment* (n 112) draws attention to the fact that over 55 million dollars were spent on the arbitration of *Fraport AG Frankfurt Ai port Services Worldwide v Republic of the Philippines* (Award) ICSID Case No ARB/03/25 (16 August 2007).

<sup>120</sup> *Occidental Petroleum Corporation and Occidental Exploration and Production Company v The Republic of Ecuador* (Decision on Annulment of the Award) ICSID Case No ARB/06/i 1 (2 November 2015).

<sup>121</sup> *Hulley Enterprises Limited (Cyprus) v Russian Federation* (Pinal Award). PCA Case No AA 226 (18 July 2014); *Yukos Universal Limited (Isle of Man) v Russian Federation* PCA Case No AA 227 (18 July 2014); *Veteran Petroleum Limited (Cyprus) v Russian Federation* (Final Award) PCA Case No AA 228 (18 July 2014).

საარბიტრაჟო სამართალწარმოების დასაწყებად. ისევე როგორც ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის აღიარების ინიციატივა, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა დაიწყო ლათინურ ამერიკაში. 2008 წლის მარტში, ეკვადორმა გააუქმა მისი ცხრა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება<sup>122</sup>. 2009 წლის ივლისში, მან წარადგინა შეტყობინება, რათა გასულიყო 1965 წლის კონვენციიდან „საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის“ (ICSID კონვენცია)<sup>123</sup>. ანალოგიურად, 2008 წლის მაისში, ვენესუელამ შეწყვიტა მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ნიდერლანდებთან, რადგან იგი ფიქრობდა რომ აღნიშნული ხელშეკრულება ხელს უშლიდა პოლიტიკის ცვლილებებს ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში<sup>124</sup>. 2012 წლის იანვარში, იგი გამოვიდა ICSID კონვენციიდანაც<sup>125</sup>. 2009 წლის ივლისში, რუსეთის ფედერაციამ შეწყვიტა 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების პირობითი მოქმედება<sup>126</sup>. ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მთელი მისი პროგრამის გადახედვის შემდეგ, 2012 წლის სექტემბერში, სამხრეთ აფრიკამ შეწყვიტა მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ბელგიასთან და ლუქსემბურგთან. ამის შემდეგ კი გააუქმა მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ესპანეთთან და გერმანიასთან 2013 წელს<sup>127</sup>. „შაკანიანი ხალხის ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის“ (BEE) მიმართ არბიტრაჟთან დაკავშირებული გამოწვევების გამო<sup>128</sup>, უცხოური ინვესტიციების რეგულირების მიზნით სამხრეთ აფრიკამ

---

<sup>122</sup> UNCTAD, *World Investment Report 2013: Global Value Chains: Investment and Trade for Development* (UN Publication 2013) 108.

<sup>123</sup> Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States (adopted 18 March 1965, entered into force 14 October 1966) 575 UNTS 159. For preliminary information on Ecuador's withdrawal from the ICSID Convention, see Joshua M Robbins, 'Ecuador withdraws from ICSID Convention' (*Practical Law*, 12 August 2009) <http://uk.practicallaw.com/2-422-1266?service=arbitration> accessed 17 November 2015.

<sup>124</sup> Luke E Peterson, 'Venezuela Surprises the Netherlands with Termination Notice of BIT; Treaty has been Used by Many Investors to "Route" Investments into Venezuelas' (*Investment Arbitration Reporter*, 16 May 2008) <<https://www.iareporter.com/articles/venezuela-surprises-the-netherlands-with-terminationnotice-for-bit-treaty-has-been-used-by-many-investors-to-route-investments-into-venezuela/>> accessed 17 November 2015.

<sup>125</sup> Elisabeth Eljuri and Ramon I Alvins, 'Venezuela Denounces the ICSID Convention' (*Norton Rose Fulbright*, 24 January 2012) <<http://www.nortonrosefulbright.com/knowledge/publications/62427/venezueladenounces-the-icsid-convention>> accessed 17 November 2015.

<sup>126</sup> For comments on the Russian termination, see, among others, Amelia Hadfield and Adnan Amkhan-Banyo, 'From Russia with Cold Feet: EU-Russia Energy Relations, and the Energy Charter Treaty' (2013) 1 *Intl J Energy Security & Environmental Research* 1.

<sup>127</sup> Sean Woolfrey, 'Another BIT Bites the Dust' (*ralac*, 30 October 2013) <<http://www.tralac.org/discussions/article/5342-another-bit-bites-the-dust.html>> accessed 17 November 2015.

<sup>128</sup> საქმეში *Piero Foresti, Laura de Carli & Others v Republic of South Africa*, (Award) ICSID Case No ARB(AF)/07/01 (4 August 2010), მოსარჩელები (შვიდი იტალიის მოქალაქე და ერთი ლუქსემბურგში დაფუძნებული კომპანია) ამტკიცებდნენ, *inter alia*, რომ სამხრეთ აფრიკის 2004 წლის სამთო მოპოვების შესახებ ქარტიამ და 2002 წლის მინერალური და ნავთობის რესურსების განვითარების აქტმა შემოიღეს მინერალურ რესურსებზე სახელმწიფო მზრუნველობის ცნება (para 55); საჯარო სამართლით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის ახალი მექანიზმები შეუსაბამო იყო „საერთო სამართლით გათვალისწინებულ მინერალურ რესურსებზე უფლების ცნებასთან“ (para 55); BEE-ის ფარგლებში, კანონმდებლობის „ორმაგი მოქმედებით გათვალისწინებული კაპიტალის გასხვისების მოთხოვნები“ ახდენდა იმ კომპანიების მფლობელობაში არსებული მინერალური რესურსებისა და სამთო მოპოვებითი უფლებების ექსპროპრიაციას, რომლებშიც მოსარჩელები

გადაწყვიტა განევიტარებინა ადგილობრივი კანონმდებლობა, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ნაცვლად<sup>129</sup>. 2014 წლის მარტში, ინდონეზიამ გამოთქვა სურვილი, შეეწყვიტა მისი 67 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება<sup>130</sup>, რაც განპირობებული იყო მისი აღშფოთებით ICSID ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, სამთო მოპოვებით სფეროში ბრიტანულ კომპანიასთან არსებულ დავასთან დაკავშირებით<sup>131</sup>. ამ ხელშეკრულებებიდან ერთ-ერთი დადებული იყო ნიდერლანდებთან<sup>132</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ უცხოელი ინვესტორების მიერ ეროვნული მარეგულირებელი ღონისძიებების გასაჩივრების რაოდენობა მყარად იზრდებოდა საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალებისადმი მიმართვის გზით ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ფარგლებში, რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვიტა შეეწყვიტა მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათი გამოსვლა აღნიშნული ხელშეკრულებებიდან უზრუნველყოფდა „*იმუნიტეტის მაღალ ხარისხს*“ ეროვნული მარეგულირებელი ღონისძიებებისათვის, რაც გამოიწვევდა უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების საერთაშორისო სამართლის მეშვეობით გასაჩივრების შემცირებას<sup>133</sup>. მართალია რიგ სახელმწიფოებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შეწყვეტა სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ ამ ხელშეკრულებებისადმი ქვეყანაში არსებული ზოგადი მხარდაჭერა საკმაოდ შესუსტდა. ინდოეთში, მაგალითად, ვაჭრობის სამინისტრო მხარს უჭერდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შეწყვეტას, ფინანსთა სამინისტრო კი ამ პოზიციას არ ეთანხმებოდა. ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული უკმაყოფილება ასახულია ინდოეთის ორმხრივი საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულების ტექსტში (2015 წლის ორმხრივი საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულება)<sup>134</sup>.

---

ფლობდნენ წილებს (para 64). არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისას, სამხრეთ აფრიკამ მოქმედ კომპანიებს მიანიჭა მინერალურ რესურსებზე ახალი უფლებები, ძველის ნაცვლად, და შესაბამისად, მოსარჩელებმა მოითხოვეს საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეეწყვიტა არბიტრაჟი. ტრიბუნალმა შეწყვიტა საქმე და ხარჯების ანაზღაურება გადაწყვიტა მოპასუხის სასარგებლოდ.

<sup>129</sup> Chantall Presence, 'MPs Pass Controversial Investment Bill' (*IOL*, 17 November 2015) <<http://beta.iol.co.za/news/politics/mps-pass-controversial-investment-bill-1946816>> accessed 24 November 2015.

<sup>130</sup> Herbert Smith Freehills LLP, 'Indonesia Indicates Intention to Terminate **All** of its Bilateral Investment Treaties?' (*Herbert Smith Freeholds Dispute Resolution-Arbitration Notes*, 20 March 2014) <http://hsfnotes.com/arbitration/2014/03/20/indonesia-indicates-intention-to-terminate-all-of-its-bilateral-investmenttreaties/> accessed 17 November 2015.

<sup>131</sup> *Churchill Mining Plc v Indonesia* (Decision on jurisdiction) **ICSID** Case No ARB/12/14 and 12/40 (24 February 2014).

<sup>132</sup> Netherlands Embassy in Jakarta, Indonesia, 'Termination Bilateral Investment Treaty' <http://indonesia.nlembassy.org/organization/departments/economic-affairs/termination-bilateral-investment-treaty.html> accessed 25 November 2015.

<sup>133</sup> Prabhash Ranjan, 'Column: Get a BIT Pragmatic' (*The Financial Express*, 17 July 2014) <<http://archive.financialexpress.com/news/column-get-a-bit-pragmatic/1270640>> accessed 17 November 2015.

<sup>134</sup> Model Text for the Indian Bilateral Investment Treaty (2015) <<https://www.nygov.in/sites/default/files/masterimage/Model%20Text%20for%20the%20Indian%20Bilateral%20Investment%20Treaty.pdf>> accessed 17 May 2016. For a critique of the 2015 Model BI', see Prabhash Ranjan, 'Comparing Investment Provisions in Indias FTAs with Indias Stand Alone BITs: Contributing to the Evolution of New Indian BIT Practice' (2015) 16 *J World Investment & Trade* 899.

როგორც სხვა ქვეყნების მასპინძელს<sup>135</sup>, ინდოეთს სურს განაახლოს მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, უპირველეს ყოვლისა, უცხოელი ინვესტორების მიერ აღძრული საჩივრების გამო<sup>136</sup>. იგი ცდილობს შეინარჩუნოს უცხოური ინვესტიციების ხელშეკრულებით დაცვის სტანდარტი, შიდა კანონმდებლობაზე უფრო მეტად დაყრდნობით და უფრო შესუსტებული ფორმით მის არსებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის ორმხრივი საინვესტიციო ჩარჩო ხელშეკრულება შეიცავს დებულებას ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმის შესახებ, ინდოეთს აქვს საკუთარი შიდა განსხვავებები ამ ასპექტთან დაკავშირებით და ურჩევნია მისი დავები უცხოელ ინვესტორებთან საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში მოაგვაროს.

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტა იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარეები აღარ არიან შებოჭილი უცხოური ინვესტიციების რეგულირებასთან დაკავშირებული მისი დებულებების მიერ. თუმცა, მათზე კვლავ გავრცელდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმები, ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები და საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები. ეს მათ აძლევს უფლებას უცხოურ ინვესტიციებს მოეპყრან არსებითად მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და ამგვარად, დაუბრუნდნენ 1960-იანი და 1970-იანი წლების ეპოქას, როდესაც განვითარებადი ქვეყნები იყენებდნენ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს და აცხადებდნენ, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა იყო ჩარჩო უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად. ამ საკითხებს მიეკუთვნება კომპენსაცია ექსპროპრიაციისათვის და მასპინძელი სახელმწიფოს მარეგულირებელ ძალაუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვა ადგილობრივი სასამართლოების მიერ. აღსანიშნია, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანას არ შეუწყვეტია მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები და ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ისწრაფვის იმისკენ, რომ გააფორმოს ახალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები<sup>137</sup>. შესაბამისად, ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არგუმენტი, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპები კვლავ უბრუნდება დღის წესრიგს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შეწყვეტით. გარდა ამისა, ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში არსებული დამცავი დებულებები უფლებას არ აძლევს ხელშეკრულების შემწყვეტ სახელმწიფოს, იყოს თავისუფალი მისი სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან გარკვეული დროის განმავლობაში<sup>138</sup>. ასე რომ, ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული

<sup>135</sup> ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის (UNCTAD) თანახმად, სულ მცირე 45 ქვეყანა და ოთხი რეგიონული ორგანიზაცია ამჟამად ანახლებს ან უკვე განაახლა მისი ჩარჩო ხელშეკრულება. See UNCTAD, *World Investment Report 2015* (n110).

<sup>136</sup> იმ მიზეზების გასაცნობად, რაც საფუძვლად ედო ინდოეთის გადაწყვეტილებას, გადაეხედა მისი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებისათვის, იხილეთ Ranjan, 'India and Bilateral Investment 'treaties' (n 102). 2015 წლის 22 ნოემბრისთვის, ცხრა უცხოელმა ინვესტორმა გაუგზავნა შეტყობინება ინდოეთს საინვესტიციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არბიტრაჟის შესახებ. ზოგიერთ აღნიშნულ საქმეში შედგა საარბიტრაჟო ტრიბუნალი: see the search results generated at <[http://wwqavsitawN.com/search/site/India?f\[0\]-im field case type%3Ai090](http://wwqavsitawN.com/search/site/India?f[0]-im field case type%3Ai090)> accessed 23 November 2015.

<sup>137</sup> მაგალითად, ჩინეთს სურს გააფორმოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

<sup>138</sup> 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების 47(3) მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შემწყვეტი სახელმწიფო რჩება ვალდებული, გამოიყენოს მისი დებულებები 20 წლის განმავლობაში იმ ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა მანამ, სანამ შეწყდებოდა ხელშეკრულება.

დაძაბულობა ზოგადად არ ასახავს საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში არსებულ დაყოფას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, კონკრეტულად კი - ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპთან მიმართებით.

## **5 შეიძლება თუ არა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი დახასიათდეს როგორც სახელმწიფოების ფუნდამენტური უფლება?**

სუვერენიტეტის ცნება არის ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ამოსავალი დებულება. თუმცა, წინამორბედისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი აწყდებოდა წინააღმდეგობებს საერთაშორისო სამართალში აღიარების მოპოვების კუთხით. ევროცენტრული ბუნების მქონე ტრადიციულ საერთაშორისო სამართალში არ იყო სივრცე ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპისთვის, რის შედეგადაც იზრდებოდა კოლონიალიზმი, კონცესიის ხელშეკრულებები, დიპლომატიური დაცვა და ჩარევა საკუთარი მოქალაქეებისა და საკუთრების დასაცავად საზღვარგარეთ. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის გარკვეული ელემენტების ტრადიციულ საერთაშორისო სამართალში არსებობის შემთხვევაშიც კი, მათი გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ გავლენიან სახელმწიფოებს ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდებამ შექმნა ახალი ეპოქა, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს მნიშვნელოვანი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ თავისი ადგილი ეპოვა საერთაშორისო სამართალში. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის აღიარების მოთხოვნა მომდინარეობდა განვითარებადი ქვეყნებისგან მათი ხანგრძლივი ექსპლუატაციის შემდეგ; სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერდნენ მას, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნები ან ეწინააღმდეგებოდნენ ან გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ. აღნიშნული პრინციპი მისაღები აღმოჩნდა მისი ოპონენტებისათვის დიდწილად მისი ზოგადი ხასიათის და პოლიტიკური ლეგიტიმურობის გამო. მისი აღიარების კატალიზატორს წარმოადგენდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ხმის მიცემის სისტემაში რადიკალური ცვლილებების შემოღება. თუმცა, როგორც კი დაიწყო სამართლებრივი უფლების სტატუსის მოპოვება, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი გადააწყდა უამრავ გამოწვევას. იგი კვლავ გამოწვევების წინაშე დგას სხვადასხვა სფეროში მისი გამოყენების დროს.

კატეგორიული პასუხი იმ შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი დახასიათდეს როგორც სახელმწიფოების ფუნდამენტური უფლება იქნებოდა იმ სამართლებრივი ნორმების კომპლექსური ქსელის ზედმეტი გამარტივება, რომლებიც ასახავს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს სხვადასხვა სფეროებში. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპთან დაკავშირებით საერთაშორისო დებატი დაიწყო ხალხთა თვითგამორკვევის უფლების კონტექსტში. მოგვიანებით, მან გადაინაცვლა საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის დარგში. შემდგომ კი მან ადგილი დაიმკვიდრა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ამის შემდეგ, ის კიდევ უფრო გაფართოვდა და აისახა საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში და საერთაშორისო სავაჭრო სამართალში. იქიდან გამომდინარე, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არ განვითარებულა თანაბრად და ერთგვაროვნად ყველა აღნიშნულ სფეროში, მისი სტატუსის ნებისმიერი განზოგადება გამოიწვევდა უფრო მეტ ბუნდოვანებას, ვიდრე სიცხადეს.

სულ მცირე ხუთი ფაქტორი არის მიზეზი იმისა, თუ რატომ არ განვითარებულა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი, როგორც სახელმწიფოების

ფუნდამენტური უფლება: 1) საერთაშორისო დებატები ყურადღებას ამახვილებდა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტზე, როგორც პრინციპზე და არა როგორც სახელმწიფოთა ფუნდამენტურ უფლებაზე. 2) ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა და პროგრესული განვითარების მყარად ჩამოყალიბებული მექანიზმების ყურადღების საგანს. 3) ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არ ყოფილა იმ სახელმწიფოების პრიორიტეტი, რომლებიც ზოგადად აყალიბებენ საერთაშორისო სამართალშემოქმედების დღის წესრიგს. 4) ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპთან დაკავშირებული დებატი იმთავითვე იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს წააწყდა, რამაც ხელი შეუშალა მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების კონსესუალურ განვითარებას. 5) და ბოლოს, 1960-იან და 1970-იან წლებში მისი პროვოკაციული გამოჩენის შემდეგ, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი თითქმის დავიწყებულ იქნა, სანამ არ მოხდა მისი ხელახალი დაბრუნება ახალ ათასწლეულში. შედარებითი თვალსაზრისით, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ყველაზე ზუსტად ხასიათდება როგორც სახელმწიფოთა ფუნდამენტური უფლება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. ის თითქმის არ გამხდარა სახელმწიფო პრაქტიკის საგანი საერთაშორისო სავაჭრო სამართალში ახალი ათასწლეულის დასაწყისამდე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი იყო კატალიზატორი, რომელმაც მოახდინა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის სახელმწიფოზე ორიენტირებული ბუნების ტრანსფორმაცია ადამიანებზე ორიენტირებულ ბუნებად.

საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი აღნიშნავს მასპინძელი სახელმწიფოს ფუნდამენტურ უფლებას, დაარეგულიროს ინვესტიციები და მოახდინოს მათი ნაციონალიზაცია ან ექსპროპრიაცია. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმეტესობაში ხაზგასმულია მასპინძელი სახელმწიფოს სუვერენული უფლება, დაარეგულიროს ინვესტიციები და მოახდინოს მათი ექსპროპრიაცია. ამავე დროს, რეგულირებისა და ექსპროპრიაციის უფლებებს თან ახლავს შესაბამისი ვალდებულებები კონკრეტულად უცხოელი ინვესტორების მიმართ. მაშინ როცა ეს უფლებები არის გაყინული, თანმხვედრი ვალდებულებები გაზრდილია ათასობით ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ძალით და მათი ინტერპრეტაციით ინვესტორების სასარგებლოდ რიგი კომენტატორებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ. ყველა აღნიშნული ვალდებულება, მათ შორის, დადებითი დახასიათების მქონე, მოიცავს საკმაოდ საკამათო ელემენტებს. ამ ვალდებულებების დიდი რაოდენობისა და მათი საკამათო ელემენტების გავლენა სახელმწიფოთა ფუნდამენტურ უფლებებზე დებატების საგანს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის თავდაპირველი ვერსია განვითარდა იმ მიზნით, რათა დაეცვა ერების ფუნდამენტური უფლება მათ ბუნებრივ რესურსებზე. მისი შემდგომი ვერსიები ხაზს უსვამდნენ ხალხების ძირითად უფლებებს იმ მიწებსა და ბუნებრივ რესურსებზე, რომლებსაც ისინი ტრადიციულად ფლობდნენ და იყენებდნენ. ბუნებრივ რესურსებზე სუვერენიტეტის უფლების მუდმივობა ნიშნავდა იმას, რომ კოლონიური მმართველობის ქვეშ მყოფ ერს ან თვითმმართველ ტერიტორიას ვერ წაერთმეოდა ეს უფლება კოლონიური მმართველის ან ადმინისტრირების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბუნებრივი რესურსები ან სიმიდირე დარჩებოდა ამ უკანასკნელის მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ დიდი ხნის განმავლობაში. მოგვიანებით, ტერმინი „სუვერენიტეტი“ გარდაიქმნა მისი ტრადიციული „სუვერენული ხელისუფალის“ მნიშვნელობიდან მის თანამედროვე მნიშვნელობად, რაც გულისხმობს „სუვერენულ პასუხისმგებლობას“.

შედეგად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპს განახორციელებს მისი ხალხის ინტერესების საზიანოდ, იგი დაკარგავს საზოგადოების ნდობას და იქნება პასუხისმგებელი<sup>139</sup>. საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელობა განსაკუთრებით მაღალია მკვიდრი მოსახლეობის უფლებებთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. შედეგად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლებას აქვს როგორც სახელმწიფოზე, ასევე ადამიანებზე ორიენტირებული ბუნება; ეს უკანასკნელი არის მნიშვნელოვნად განვითარებული საერთაშორისო ორგანიზაციების გარკვეული დეკლარაციებით/რეზოლუციებით, განსაკუთრებით კი, აფრიკული და ამერიკული ადამიანის უფლებათა ორგანოების იურისპრუდენციით. შედეგად, სახელმწიფოები თავს ვალდებულია თვლიან შეცვალონ თავიანთი საერთაშორისო სახელმეკრულებო ვალდებულებებიც კი, რათა შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებები.

იქიდან გამომდინარე, რომ განვითარების უფლება გადაიზარდა მდგრადი განვითარების უფლებაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დაუახლოვდა საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალს. შედეგად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება, მოახდინონ საკუთარი რესურსების ექსპლუატაცია მათი გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად<sup>140</sup>. გარემოსა და ვაჭრობას შორის არსებულმა კავშირმა შესაძლებლობა მისცა სახელმწიფოებს, გამოიყენონ გარემოსდაცვითი სტანდარტები და განახორციელონ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება საერთაშორისო ვაჭრობაში. შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ უფლება გამოიყენონ და მართონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები თავიანთი ეკონომიკური განვითარებისათვის და მიიღონ კონსერვაციის ზომები, მათ შორის, „*დაარეგულირონ და გააკონტროლონ*“ აღნიშნული რესურსების ექსპლუატაცია „*საკუთარი ინტერესებისა და პოლიტიკის მიზნების, მათ შორის, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების შესაბამისად*“<sup>141</sup>. *China Rare Earths* საქმეში, ისეთი გამონათქვამების გამოყენება, როგორც არის, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის „*ზოგადი პრინციპი*“, როგორც „*საერთაშორისო სამართლის რელევანტური წესი*“ მიუთითებს თავშეკავებაზე, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი დახასიათდეს როგორც სახელმწიფოების ფუნდამენტური უფლება, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ვალდებულებების გამო<sup>142</sup>.

უფლებები და ვალდებულებები, როგორც ურთიერთდაკავშირებული იურიდიული ცნებები, ახდენენ ერთიმეორის ფორმირებას. ამ კორელაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მოსაზრებით, ვინაიდან სახელმწიფოების ფუნდამენტურ უფლებებს თან ახლავს მნიშვნელოვანი რაოდენობით ვალდებულებები, ამ უფლებების ფარგლები მცირდება და მათი შინაარსი ბუნდოვანი ხდება. თუმცა, ეს შეიძლება არ იყოს მართალი სახელმწიფოთა

<sup>139</sup> See, eg, Joseph Sax, "the Public Trust Doctrine in Natural Resource Law: Effective Judicial Intervention (1970) 68 Michigan L Rev 471.

<sup>140</sup> UNGA, 'Report of the United Nations Conference on Environment and Development: Annex I-Rio Declaration on Environment and Development' (12 August 1992) UN Doc A/CONF.151/26.

<sup>141</sup> *China-Measures Related to the Exportation of Rare Earths, Tangsten and Molybdenum-Reports of the Panel* (26 March 2014) WT/DS431/R, WT/DS432/R and WT/DS433/R (*China Rare Earths*) para 7.267.

<sup>142</sup> *ibid* paras 7.262-7.263.

პრაქტიკაში. ამას გარდა, სახელმწიფოს ფუნდამენტური უფლების შინაარსობრივი სიზუსტე აუცილებლად არ განსაზღვრავს მის იურიდიულ სტატუსს. მაგალითად, როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპისა და უფლების შინაარსობრივი ლიმიტები ნორმატიული თუ ფუნქციური თვალსაზრისით, ექვგარეშეა ამ ფუნდამენტური უფლების იურიდიული სტატუსი. იგივე ლოგიკა გამოიყენება ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპისა და უფლების მიმართ. მაგრამ, ეს ლოგიკა არ არის საკმარისად ასახული სამართლებრივ ნორმებში, ისე როგორც ამას ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის/უფლების მომხრეები ისურვებდნენ.

ზოგადად, არსებობს კონსენსუსი ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპისა და უფლების ზოგად მახასიათებლებთან დაკავშირებით. რაც შეეხება მის სპეციფიკურ ელემენტებს, მათი განვითარება ხდება კონკრეტულ სფეროში აქტუალური შეხედულებების გათვალისწინებით. შედეგად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოთა ფუნდამენტური უფლების ფარგლები და ლიმიტები, დროდადრო განხილვის საგანს წარმოადგენს. ეს პროცესი სხვადასხვა მიმართულებას იძენს სხვადასხვა კონტექსტში. სხვა უფლებების მსგავსად, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება არ არის სახელმწიფოთა აბსოლუტური უფლება და მისი ლიმიტები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლების განხორციელება დროდადრო კონფლიქტში მოდის სხვა სახელმწიფოებისა და ორგანიზაციული ერთეულების უფლებებთან. საერთაშორისო საინვესტიციო დავების უმეტესობა ამ ტიპის კონფლიქტის შედეგია. ნებისმიერი ნორმატიული კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას ან მხარეებს შორის მოლაპარაკებით ან კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაყენებელი ნორმების იერარქიის ავტორიტეტული შეფასებით. *China Rare Earths*-ის საქმე წარმოაჩენს, თუ რა შედეგები მოაქვს ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოთა უფლების დახასიათებას და რა ეფექტი აქვს მის გამოყენებას უფლებით მოსარგებლე სახელმწიფოს ვალდებულებებსა და სხვა სახელმწიფოების ვალდებულებებს შორის არსებულ კონფლიქტზე. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პანელი ამ საქმეში შეეცადა გადაეწყვიტა, *inter alia*, თუ რა მასშტაბით შეეძლო ჩინეთს განეხორციელებინა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება საერთაშორისო ვაჭრობაში<sup>143</sup>. პანელი მიიჩნევდა, რომ ჩინეთს არ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივ სუვერენიტეტთან დაკავშირებული მისი უფლებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვალდებულებების დარღვევით, განსაკუთრებით მაშინ, როცა განსახილველი სავაჭრო შეზღუდვების შესახებ წარმოდგენილი დასაბუთება არ იყო გამართლებული<sup>144</sup>. ამ პროცესში პანელი ცდილობდა მიედწია ბალანსისთვის შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლებები და სახელმწიფოთა ვალდებულებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით ბ) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები გ) ვაჭრობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული წუხილები<sup>145</sup>. ეს იყო მცდელობა, შეფასებულიყო ნორმატიული მდგომარეობა საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში, სადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლის ავტორიტეტი კარგად არის დამკვიდრებული მისი კოდიფიკაციის გზით მის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებში; ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლებას არ აქვს

<sup>143</sup> *ibid* para 7.462.

<sup>144</sup> *ibid*.

<sup>145</sup> *ibid* paras 5.19-5.57.

მსგავსი უპირატესობა. მართალია მოცემულ საქმეში ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზანმა გადასწონა სხვა საკითხებთან დაკავშირებული მიზნები, ეს არ წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სუვერენული სახელმწიფოებისათვის, დაისახონ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი პოლიტიკის ამოცანად. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლება რჩება აქტუალურ საკითხად ნებისმიერ ნორმატიულ წესრიგში.

## 6 დასკვნა

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის კონცეფციას აქვს ორმაგი სამართლებრივი მნიშვნელობა. ამ კონცეფციის განვითარების გზა პრინციპად აღიარებიდან უფლებად აღიარებამდე არის მნიშვნელოვანი მიღწევა საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების დინამიური პროცესისთვის ომისშემდგომ პერიოდში. მაშინ როცა ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი ფართოდ არის აღიარებული, უფლება ხშირად წარმოადგენს დავის საგანს. 1962 წლის რეზოლუცია ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის შესახებ ასახავს პრინციპს, ხოლო სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ქარტია (CERDS) - უფლებას მრავლობით ფორმაში. აღსანიშნია, რომ 1962 წლის რეზოლუცია არ არის პრინციპის სრული გამოხატულება და არც CERDS არის უფლების შესახებ სრულყოფილი განაცხადი. მაშინ როცა პრინციპის შინაარსი ფართოვდება სხვადასხვა მოვლენების შედეგად, მაგალითად, ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ დეკლარაციის (NIEO) მიღება, უფლება ვითარდება რიგი ინსტრუმენტების დახმარებით, მათ შორის, 2007 წლის დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ.

სამართლებრივი პრინციპი იღებს სამართლებრივი უფლების ფორმას, როცა პირველი ვითარდება ოპერატიული თვალსაზრისით კონკრეტულ კონტექსტში, მათ შორის, უფლების მატარებელი სუბიექტის, ვალდებულების მატარებელი სუბიექტისა და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის იდენტიფიცირების გზით. მთავარი განსხვავება სამართლებრივ პრინციპსა და სამართლებრივ უფლებას შორის უკავშირდება მათი გამოხატვის ფორმებს: პირველი არტიკულირებულია ზოგად ენაზე, რათა წარმოადგინოს ზოგადი სახელმძღვანელო სტანდარტი, მეორე კი ფორმულირებულია უფრო ზუსტი ენით, რათა დაარეგულიროს იურიდიული ურთიერთობები კონკრეტულ კონტექსტში. ვინაიდან ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტიდან გამომდინარე უფლებები არ არის ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ექსკლუზიური მონაპოვარი, არამედ ხელმისაწვდომია ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის, ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპს. ამავე დროს, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპი არ მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების კატეგორიას, რომელიც ასახულია გაეროს წესდების მეორე მუხლში და 1970 წლის დეკლარაციაში სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების შესახებ. თუმცა, შესაძლებელია ამ პრინციპის ამოკითხვა გარკვეული ფუნდამენტური პრინციპების ტერმინოლოგიის ფარგლებში, როგორც არის, სუვერენული თანასწორობა და თვითგამორკვევა.

ზედსართავი სახელი „მუდმივი“, რომელიც თან ერთვის გამოთქმას „ბუნებრივ რესურსებზე სუვერენიტეტი“, შესაძლოა ჩანდეს შეუფერებელი მუდმივად ცვალებად სამყაროში, იმის გათვალისწინებით, რომ სუვერენულ სახელმწიფოს იმის უფლებაც კი აქვს, რომ დათმოს თავისი ტერიტორია ან მისი ნაწილი. თუმცა, მას აქვს ისტორიული მნიშვნელობა იმ კუთხით, რომ კოლონიური მმართველობის ქვეშ მყოფი ერების შემთხვევაში, მათი სუვერენიტეტი ბუნებრივ რესურსებზე მიიჩნეოდა სამუდამო

მოქმედების ძალის მქონედ. კოლონიზატორი ქვეყნები ითვლებოდნენ არაუფლებამოსილად აღნიშნული რესურსების შესაძენად თუ გასასხვისებლად. თანამედროვე სამყაროში, ზედსართავი სახელი „მუდმივი“ ნიშნავს იმას, რომ საბოლოო კონტროლი სახელმწიფოს ბუნებრივ რესურსებზე რჩება ამ სახელმწიფოს; იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ რესურსების განკარგვა მოხდება საერთაშორისო კონტრაქტების მეშვეობით და ისინი გადაეცემა უცხოელ ინვესტორებს საკუთრებაში/მფლობელობაში, ეროვნული სამართლის ნორმები კვლავ ინარჩუნებენ მოქმედების ძალას მათ მიმართ; სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს მისი სუვერენული უფლებები საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე ნებისმიერ დროს; სახელმწიფოს რჩება უფლება, მოახდინოს უცხოელი ინვესტორების საკუთრების ექსპროპრიაცია და ადადგინოს კონტროლი ამ რესურსებზე კანონით დადგენილი პროცედურის თანახმად. მაშინ როცა სიტყვა „მუდმივი“ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის ცნების თავდაპირველ ვერსიაში პირველ რიგში აღნიშნავდა სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას, თანამედროვე სამყაროში მისი მთავარი არსი მდგომარეობს ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფოს მარეგულირებელი კონტროლის შენარჩუნებაში.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის აღიარება სხვადასხვა სფეროებში, დაწყებული ადამიანის უფლებებით და დამთავრებული გარემოთი, ადასტურებს მის ფართო აღიარებასა და გამოყენებას. ტრანსასახელმწიფო წყალსაცავების შესახებ 2008 და 2013 წლების გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების დაყრდნობა 1962 წლის რეზოლუციაზე წარმოაჩენს მისი დებულებების აღიარებას ამჟამინდელ კონტექსტშიც კი. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ადამიანის უფლებათა განზომილებები იმაზე უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე ამ პრინციპის მომხრეები ვარაუდობდნენ მის საწყის ეტაპზე. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის უფლების შინაარსის ზრდის შედეგად გარდაიქმნა მისი ბუნებაც. ამ უფლების ადამიანებზე ორიენტირებული ბუნება ხაზს უსვამს სახელმწიფოების პასუხისმგებლობას მისი ხალხის წინაშე ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხში. იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებსა და ხალხების ფუნდამენტურ უფლებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, როგორც წესი, ეს უკანასკნელი იმსახურებს დაცვას.

ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპის ფართო აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ის გახდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის პრინციპისა და უფლების შინაარსობრივი ლიმიტები თვალსაჩინო ხდება მისი გამოყენების დროს კონკრეტულ კონტექსტში, განსაკუთრებით, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციის სფეროებში. ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის არც პრინციპსა და არც უფლებას არ აქვს სახელმწიფოთა იმ ვალდებულებების დამღვევის ძალა, რომლებიც მათ თავისი ნებით აიღეს თავზე საერთაშორისო შეთანხმებების დადების გზით. თუმცა, ეს პრინციპი/უფლება რჩება მნიშვნელოვან მხედველობაში მისაღებ საკითხად, რათა დააბალანსოს მხარეების საპირისპირო სამართლებრივი ინტერესები კონკრეტულ საქმეებში. იქიდან გამომდინარე, რომ ერი-სახელმწიფოს სისტემა რჩება საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედად, სახელმწიფოები კვლავ ინარჩუნებენ თავიანთ პირვანდელ პოზიციას და ახორციელებენ მარეგულირებელ უფლებამოსილებას მათ ბუნებრივ რესურსებზე, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის კონცეფციის/პრინციპის/უფლების ძალით. ძველი ეკონომიკური სისტემების დასუსტებისა და ახლის განვითარების შემდეგ, ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის კონცეფციის, როგორც პრინციპის და როგორც უფლების აღდგენა, როგორც ჩანს, ლოგიკური მოვლენაა.